

კაჟა ეჭზისეღი

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწიგნობართა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო ასპიზიის  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული ასპიზია

# ჰუჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწიბრალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 40

2020



მთ. რედაქტორი

**ნათელა მასაძე**

პედაგოგიურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
განათლების მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდენტი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაშვილის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-847-2 (40 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხოვის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტევანი“, აღმსანდრა სმირნოვა-პოხოლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მანაშვილი“, ფეოდორ ტიუტჩენკოს ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემული ერთტომიანი – „იმენ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ხუთტომიანი ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაგეგმილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომი, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტავებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმერთსა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწესა ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოზის მედლისა და „დიოკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმერთსა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვახისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



აფხაზეთის მმართველობა აკადემიის პრეზიდიუმის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „ვარძიის“, „ნიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბდიის, სოგის, იყალტოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური ფსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური ფსალგუნების“ (ოცდაათტომეულის გამომცემა. გამომცემლობა „შენივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიწურულს გამომცემმა „კოლხური ფსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამზადებულია დანაბეჭდად ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პრეზისადგი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველობისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, ვერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდიუმის ვაკანტურ ადგილზე დია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდიუმი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური ფსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰეავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილა. იგი – მცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შემსახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსთველს აკაკის და ბალაკტიონს, ღმერთი არ მივყენს რომ შეგადარო. გაგხარ ზღვის დელვას და ნაზ სიონსაც, რომ ახანახარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაბრნილი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტგვერდინანი „ბაჟალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათობული წავიკითხე, ჩემი კველი აზრი რადიკალურად შეარყვავი და... დღეს ძვენის ბასბონად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაკტიონს და... არც მსოფლიოს, არც კველსა და არც თანამედროვე პოეტს არა კბავს...

ის პრეისტორიული კოლხეთის „ქუტიანა“, არსის ჭაღაში მღბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც გერქმნა კი არა, პელაზგმა იაზონმა მედასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწივის, აიეტის ხელით ღარგული, ის ურჩხულ მოღარაჟე მუხაა, რომლის ცაღაწვიდო ტოტეგზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნების“ იბაგვიწვიომელი ასტრომული დაკიდა და გააცოცხლა, მიძინებული, ღავიწვივის ნაცარმიჭრილი, არა მართო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათობულტეხი მებ საუკუნოვანი მითებით, ღებენდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომპლენიდან მოყოლებული (კვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვენის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკეთებია.

100-ტომეული... ძვენის ბანენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაჟამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოსური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემოწახი...

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გველქვაი მისვლია... მათ იცინან იმ იწვევა დღემოწვის ისტორია“.

### ბუნნაზ ხარაიშვილი

პოეტი, ბალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურიატი, ჯუგბერ ლექსავას სახელობის მცნვირებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



**„გულტივად ზმეზვი ყოველ ჟიბას, ყოველ ბაბიბას.“**

**ა. პუშკინი**

**წინასიტყვაობის მაბიერ**

**(გაგრძელება)**

**თამარ მეფის სახე ვაჟა ებრისელის პოეზიაში**

„ეჯდები რა საწერად, ჩემთვის დგება უმაღლესი სიმართლის ჟამი, სიმართლე კი არის ჯადოსნური ზღაპრების თემა და მოტივი“ – უთქვამს ერთ დიდ თანამედროვე მწერალს.

დიახ, ჭეშმარიტად დიდი სიმართლით სუნთქავს ვაჟა ებრისელის შემოქმედება. ჩვენი ერის გამირულ წარსულსა და დიდ სულიერ მემკვიდრეობას თანამედროვეობის დვრიტა და ახალი, სრულიად თავისებური სიცოცხლე მიანიჭა მისმა პოეტურმა ქმნილებებმა. თითქოს გაოგნებულ, ექსტაზში შესულ, თავბრუდახვეულ პოეტს წამიერ გასხვივოსნებასავით მოაკითხავს დიდი სევდა და უნიკალური მხატვრული ფანტაზია. თამარ მეფის გონებამახვილური, რეალური ვითარების ღრმად გაანალიზების შედეგად გადადგმული ნაბიჯებით გაკეთებული სვლების ფონზე



ელავს შთამბეჭდავი მეტაფორები, სახეები, უაღრესად ინდივიდუალური სეგლები:

\*

„ჰოი,

რამდენჯერ დედებს ქართველისა,

შავად უქციეს თეთრი მერდინი

და სისხლის ცრემლში ბანდნენ

ნიადაგ...

ბედი ჰქონიათ მაჰმად-ხანებს,

ჯალალედინებს,

ქვეყნად მოსვლა რომ დამაგვიანდა!“...

ამ ლექსში დასმული მრავალწერტილით მკითხველი თითქოს ფიზიკურად იმ სეგდიან პროფილსაც ხედავს, რომლითაც ყველაზე დიდ სასწაულს – საქართველოს ისტორიულ წარსულს უმზერს პოეტი ვაჟა ეგრისელი.

და უნებურად:

\*

ბედუკუდმართ ჟამთა სუნთქვას,


ისტორია ველარ მაღავს,

ვისმენ ომებს გარდასულთა

და ერზინკის ვხედავ სულთანს,

მეფე თამარის გაყიდულს –

ერთ ჯახრეკი ცხენის ნალად“.





სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება ის სულიერი თრთოლა, ამ ლექსის წაკითხვა რომ განგვაცდევინებს. თამარ მეფის მიერ „ცხენის ერთ ნაღად გაყიდული სულთანი“, მამულისადმი უანგარო ერთგულება და ისტორიული სიმბოლოც. მწარე წარსულის სევდიანი ნოველაც კაცობრიობის მოდემის ოცნებების მსხვერვის დრამატულ სინამდვილეზე.

ქართველ მეფეთა ძალზე დიდი და მრავალგვაროვან გაღერეიდან თამარ მეფეს ხვდა წილად პოეტის განუმეორებელი სიყვარული, გამორჩეული პატივისცემა და აღტაცებული ხოტბა-დიდება.

მეფე თამარის განსაკუთრებული ელვარებით ჩანს საქართველოს ისტორიაში. პროგრესულად მოაზროვნე ქართველმა საზოგადოებამ გადაჭრა შუა საუკუნეებისათვის მეტად რთული და მნიშვნელოვანი საკითხი – ქალის ხელისუფლების პრობლემა. სამეფო ტახტზე აიყვანეს ქალი, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი საჭეთამყრობელი და მეფეთ-მეფე. ამიერიდან ძალუმად გაისმა შუა საუკუნეებისათვის არც თუ ისე მისაღები სიტყვები: „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“.

მემატიანეებმა ბრწინვალე ეპითეტებით შეამკეს თამარ მეფე: სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული. გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა, მეფეთა მზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწინებული და



სსგ. თამარის ისტორიკოსის ცნობით: „ესრეთ ყოველი სოფელი საესე იყო მისმიერთა ქებითა და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სახელი მისი ისმოდა“. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით: „გლესთა უწიგნოლაც იციან ძლიერება თამარ მეფისა“.

მემატიანეთაგან გარეგნულად ულამაზესად წარმოდგენილი მეფეჟალი (ასეთივე შემორჩა მისი ხატება ჩვენამდე მოღწეულ ფრესკებზეც), რომელსაც სიცოცხლეშივე უმღეროდნენ „ყმანი მემრწოლენი“, მეგბენი თუ მეჩანგენი, ხალხი კი სამების მეოთხე წევრად მიიჩნევდა. ეს პერიოდი საქართველოს „ოქროს ხანა“ – ასევე ამადლებულად, შარავანდედად მოსილი შემორჩა შთამომავლობის მეხსიერებას და ქვეყნის ძნელბედობის დროს ნეტარ მოსაგონებლად...

როცა თამარ მეფეზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს რუსი მწერლის კონსტანტინე ბალმონტის სიტყვები: „ყოველდღე მუშაობის დაწყების წინ შევცქერი თამარს. მისი ნაკვეთები ნაზია, როგორც იტალიურ ფერმწერთა ერთ-ერთი მშვენიერი სახეთაგანი“.

ბუნებრივია, თამარის ქველობამ და ბრძნულმა მოღვაწეობამ ხალხიც აღაფრთოვანა და ამ უკანასკნელმა არა ერთი და ორი სიმღერა – ხოტბა უძღვნა საყვარელ მეფე-ქალს:



\*

„უფლისა იყო ბრძანება,  
შაირტყა მამის ხმალიო,  
მამის სამეფო აიღო,  
თვითონ ბრძანებდა ქალიო;  
ხმელეთ თავისად მაიგდო,  
იმდენიცა აქვს ძალიო;  
შუა ზღვას ჩადგა სამანი,  
შეაბა რკინის კარიო“.

(„ბრძანებდა დამბადებელი“.)

თამარის სახემ, მისმა პიროვნებამ ქართულ ეპოსში ჰპოვა თავის ასახვა. სწორედ მდიდარმა ქართულმა ეპოსმა „ამირანიანისა“ და „ეთერიანის“ გვერდით შემოგვინახა გადმოცემები თამარ მეფეზე.

უნდა ითქვას, რომ ქართულ ეპოსში თამარი ასახულია როგორც ბრძენი მეფე და ამავე დროს მშვენიერი ქალი, ქალი, რომელსაც შეუძლია სიყვარული კარგი ვაჟუკაცისა, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები აქვს.

თამარის მესობზე იოანე შავთელი წერს:

„ძირით მისისა იესესისა  
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად.  
ქალწულ-წმინდისა წილსგდომილის,



საქართველოსა მეფედ წოდებად“.

ჩახრუხადის პოემაში „თამარიანი“ ჩაქსოვილია ავტორის დამოკიდებულება საქართველოს ძირითადი პოლიტიკური და სააზროვნო პრობლემებისადმი. ეროვნული იდეოლოგია, რომლის მიმდევრად გვევლინება ჩახრუხადე, უშუალო განვითარებაა იმ დიდი ტენდენციისა, რომელსაც VIII საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი.

თამარმა შექმნა უძლეველი ქართული სახელმწიფო, ქრისტიანობის ერთგული ბურჯი და მუსლიმანობის შემმუსვრელი. რაკი თამარი ქრისტიანობის დამცველადაა მოვლინებული ხოლო ქრისტიანობის მოწოდებაა მარადიული ტანჯვისაგან ცოდვილი კაცობრიობის ხსნა. თამარი გამოცხადებულია ახალ მესიად.

გენიალურმა შოთა რუსთაველმა თამარს მიუძღვნა თავისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, ამ პოემაში განსაკუთრებული სიდიადითა და სიფაქიზითაა წარმოდგენილი თამარის პიროვნება:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა

ცრემლ-დათხეული,

ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ-ავად გამორჩეული.

მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და

კალმად მე ნა რხეული,



ვინცა ისმინოს, დაესვას, ლახვარი გულსა  
ხეული“.

გრიგოლ ორბელიანის ლექსზე „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ცნობილი მეცნიერი აკაკი ხინთიბაძე წერს: „თამარის ხსენებით გაიღო და თამარის ხსენებით იხურება ელევთის მწუხრის კარები. ლექსის პირველი სამი და ბოლო სტრიქონი თამარს ეთმობა, ერთხელ ლექსის შუა ნაწილშიც შემოგვინახა იგი ზეცისკენ თვალბმბიქვეული. სამივეგან ერთი და იგივე უძრავი სტატიკური სახე, რომელიც ყურს არ უგდებს ხნით დამაშვრალ, დაღონებულ, ბედდაკარგულ ივერიის ძის მხურვალე ღაღადისს, თითქოსდა ამით მიგვანიშნებს: ჩემკენ თუ იცქირებით, ვერაფერს გიშველით, თქვენს თავს თქვენვე უნდა მიხედოთ, ამას აშკარად გრძნობს და განიცდის თამარის სახის შემყურე, სამარის პირას მდგარი 73 წლის მოხუცი, რომელსაც უკვე აღარ ძაღუძს რაიმე იღონოს თავისი დამხობილი სამშობლოს გადასარჩენად“.

თამარ მეფისადმი მიძღვნილი თქმულებების, ლეგენდებისა თუ ნაწამოებების საფუძველი ისტორიული მოვლენებია, რომელსაც ხანგრძლივი დროის სპექტრში გარდატეხილი მივიდა ხალხამდე ის ფანტასტიკურიც კი, რაც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებშია დაცული სინამდვილის პლასტებიდან



იღებს სათავეს. თამარის ხანაში მოიყარა თავი ყველა ეროვნულმა მიღწევამ, ყოველივე საუკეთესომ.

ქართველმა ხალხმა, ქართულმა ეკლესიამ მაისის, ვარდობის თვესთან – სიცოცხლის გაფურჩქვნა-აყვავებისა, სისარულისა და შვება სიტკბოების თვესთან დააკავშირა მეფე თამარის ხსენება. მაისის პირველი დღე (ახალი სტილით 14 მაისი) არის წმინდად შერაცხული აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰინშა მეფე თამარის ხსენების დღე. დიახ, წმინდანად შერაცხული მეფე ქალი ქართველთა წარმოდგენაში ყოველთვის იყო ჩვენი ერის „ლამაზი დედა“ (ვაჟა ფშაველა).

პოეტი ვაჟა ეგრისელი თამარს გვიხატავს როგორც ზეადამიანურ პიროვნებას, როგორც დიდ აღმაშენებელს, მის როლს საქართველოს საზღვრების გაფართოებასა და გამაგრებაზე. პოეტის რწმენით თამარის სახე ქართველი ხალხის მეხსიერებაში დარჩა როგორც ეტალონი სიმაღალისა და მშვენიერებისა, როგორც სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდაუზოგავად მებრძოლი გმირი ქალისა.

\*

„როცა ჩაუველი დიდუბის საყდარს.

წარსულით საესეს მომაწვდის ბადაგს –  
ის მეთორმეტე,

ის ოქროს ხანა.



და ვხედავ დღეებს – თამარ მეფის გვირგვინი  
ადგას,

ღამეები კი –

ვარსკვლავების კუბოში წვანან“.

ვაჟა ეგრისელის ეს ლექსი ორიგინალურია, პოეტის საფიქრალი და სადარდებელი საქართველოს ისტორიული წარსულია, გაუნელებელმა სიყვარულმა და ზღვარდაუდებელმა ერთგულებამ თამარ მეფის ოქროვანი საუკუნისადმი ათქმევინა პოეტს ეს დიდებული ლექსი, რომლის თითოეული სტრიქონი XII საუკუნის საქართველოსთან, თამარის სხივნათელ სახესთან ზიარებაცაა და ეს გრძნობა იმდენად საინტერესოდაა გადმოცემული, რომ პოეტთან ერთად თითქოს ხედავ თამარის ქორწილს დიდუბეში, „სადაც დღეებს თამარ მეფის გვირგვინი ადგათ. ღამეები კი ვარსკვლავების კუბოში წვანან“. თამარის იდეალია, მის სახელს მოწიწებით ეთაყვანება და შარავანდედით მოსავს. თამარი სინათლის, და სიკეთის უშრეტი წყაროა – გვარწმუნებს პოეტი.

როცა ეს ლექსი წავიკითხე უნებურად დიდი გალაკტიონი გამახსენდა; „რარიგ მწყურია, შენს შორიახლოს განახლებისა მოვიკლა ჟინი და ვუცქეროდე, თუ როგორ ბრწყინავს ღვთაებრიობის შენი გვირგვინი“.



წინამდებარე ლექსით პოეტი აფხიზლებს ერს, სიყვარულის ზარებს აწკრიალებს. თამრის სახე სინათლედ, სითბოდ ეფინება საქართველოს მომავალ დღეთა თენებას და პოეტთან ერთად ჩვენც გვჯერა თამარ მეფის გვირგვინოსანი დღეების სიმრავლისა. ამ ლექსით პოეტისათვის საინფორმაციო ველი იხსნება. „დიდუბის საყდარი“ თამარ მეფის უმშვენიერეს ხატებას გვაზიარებს ქორწილის ფონზე და ვარსკვლავების კუბოში ჩაწოლილი ღამეები თავიანთი იდუმალებით გვაოცებენ და ამოსახსნელად გვიხმობენ... რა მართებულად ბრძანებს სულმნათი აკაკი წერეთელი:

„სულ 28 წლის განმავლობაში იმდენი საქმეები ჩაივლინა, ისე აამაღლა საქართველო, რომ ყველაფერი ამის შესახებ, რომ უტყუარი ისტორიული საბუთები არ გვეჭიროს ხელში, ზღაპარი ან სიზმარი გვეგონებოდა, შთამომავლობამ აღარ იცოდა რაგვარი სამადლობელი უნდა შეეწირა ამ საარაკოქალი-სათვის და ამიტომაც სხვა უკეთესი რამ ვეღარ მოიგონა-რა „თამარ მეფე“ უწოდა, მამაკაცის სახელი მიანიჭა და ამით გვერდში ამოუყენა მსოფლიო მამაკაც გმირ-მრონცხებულებს. ქართველთა ეკლესიამ წმინდათა თანა შერაცხა ეს მეფეთა შორის საკვირველება და სადღესასწაულოდ დანიშნა პირველი მისი, ანუ როგორც ძველად უწოდებდნენ ვარდისთვე.



დღეს მის სახელს დღესასწაულობს არა მარტო დღევანდელი ქართველები, ისინიც კი, რომელნიც ოდესმე ქართველებად ყოფილან, მაგრამ შემდეგ კი დროთა და ვითარების უკუღმართობით გადარჯულუბულან.“

ცნობილია, რომ სულთან რუქნადინმა 1205 წელს მრავალათასიანი ჯარით გაილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ. ელჩმა საქართველოს მეფეს რუმის სულთანის მუქარით და შეურაცხყოფელი სიტყვით დაწერილი ბარათი გადასცა და თავის მხრივ დაუმატა: სარწმუნოებას თუ შეიცვლის, თამარს სულთანი ცოლად შეირთავს, თუ არა, ხარჭად დაისვამსო. თამარ მეფის ასეთი შეურაცხყოფის გამოსაძახებლად საქართველოს მხედართმთავარმა ზაქარია მხარგრძელმა სულთანის მოციქულს ისეთი სილა გააწვინა, რომ „იგი ვითარცა მკდარი დაეცა და იღვა“. დიდი ხნის მერე გონსმოსულ მოციქულს მხარგრძელმა უთხრა, „ელჩი რომ არ ყოფილიყავი, ჯერ ენის ამოკვეთა იყო შენი ხვედრი, ხოლო შემდეგ თავის მოჭერათ“.

თამარის ბრძანებით სწრაფად შეიკრიბა საქართველოს ლაშქარი. მეფემ ვარძიამდე მიაცილა თავისი ლაშქარი. დალოცა და მტრის წინააღმდეგ გაგზავნა. ბრძოლა მოხდა ბასიანში (ერზუმის ახლოს). ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. რუქნადინი გაიქცა. გამარჯვებულმა ჯარმა დიდძალი



სამხედრო ქონება და სულთანის დროშაც იგდო ხელთ. ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი შთამბეჭდავად დახატა ვაჟა ეგრისელმა:

\*

„აღგვად ქართლისა

რუქნადინმა

ჯარი მოჰყარა,

როს თამარ მეფის ძლიერება გადასწვდა

ცხრა მთას.

ახლაც ჩაესმის საქართველოს მტერს

თუ მოყვარეს –

რვაასი წლის წინ, რომ გააწნა მხარგრძელმა

თათარს,


სილა,

იმ სილის ხმა და ღაწანი“.

ამ ლექსში სწორუპოვრადაა გადმოცემული მტრის მიმართ სიძულვილი და საქართველოს დიდი მეფის სიყვარული. ნამდვილი ისტორიული ფაქტით აღფრთოვანებული პოეტი თამარს უძღვნის მეორე ლექსს, რომლის სათაურია „მხარგრძელის ნათითარი“. მას წამძღვარებული აქვს „ქართლის ცხოვრებიდან“ ციტატა: „უხეთქა ხელითა პირისა“.

\*

„ვითარცა თათარს –





მხარგრძელის ნათითარი,  
სუთფერად აჩნდა ცას  
ცისარტყელა“.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელს დიდი, ფიზიკურად წასული წინაპრები ევლინება გულის საოხრად და ნუგეშად და ამიტომაცაა, რომ:


\*

„ქარიშხლით ოდნავ შეშფოთებული  
ცა,  
ვარსკვლავებით მოყვავილე –  
მე მიჩანს ბაღად.  
სად ალიონი მზის სანთელს მიკმევს –  
და მე დღეების –  
თეთრ კიბეებს მიყვები მადლა –  
წინაპრის სულით განათებულ მშობლიურ  
ცისკენ“.

ცალკე სხვა ლექსით ადავლენს ლოცვას პოეტი თამარ მეფისადმი, რომელსაც ეპიგრაფად გრიგოლ ორბელიანის სიტყვები აქვს წამძღვარებული „მიხარის, გიმზერ, ვწუხვარ და გიმზერ და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე“.

\*

„ისეც მიყვარხარ...“





ბეთანია შენი თვალებით –  
შიშს და სიყვარულს  
ნულარ მაძალებს,  
თამარ! ღმერთქალო, იღუმალო ხმებით  
მოცულო.  
შენი თვალები – არის წყვილი ლოცვის ტაძარი,  
სადაც მუხლმოყრით საქართველო  
დღესაც ლოცულობს.“

\*

„ბოლოს,  
როცა ცის ლურჯ ფსკერზე –  
დღის ნათელი ზღვა რომ დაშრა  
და მზეც გაიპარა ურცხვად.  
მაშინ მთვარე  
მნათთა ლაშქარს –  
თამარივით თბილისში კვლავ შემოუძღვა“.

ამ ლექსში გაცხადდა დიადი რწმენა თამარის სიკეთისა და ქველმოქმედებისა. პოეტის რწმენით თამარის სახე მთვარესავით სხივებს ჰფენს მთელ საქართველოს და მთელი დამაჯერებლობით გვარწმუნებს იმ ჭეშმარიტებაში, რომ სამარადისოდ შეინახა ქართველმა ხალხმა დიდი მამულიშვილის და საქართველოსათვის დამაშვრალი მეფე-ქალის ხსოვნა. მისი ხატება დღესაც ამხნეებს და წინსვლისაკენ მოუ-



წოდებს ქართველ ხალხს. მეფე დედოფალი მტკიცედ დამკვიდრდა შთამომავლობის შემეცნებაში, ვითარცა „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, მესიის თაყვანისმცემელი“.

### ქეთევან დედოფალი

„გვაქვს უთვალავი ფერთა“ – ამბობს რუსთაველი და ეს სიტყვები ზედმიწევნით მიესადაგება ვაჟა ეგრისელის მრავალფეროვან და მრავალსახოვან შემოქმედებას, რომელშიც მთელი სამყარო სუფევს და მას აძლევს ღვთაებრივ ძაღას და მიმზიდველობას.

...თუ ყოველგვარი შურისა და მტრობის გარეშე გადავიხედავთ პოეტის „ვარსკვლავებით გადახურულ კარმიდამოში“ (პოეზიაში) დავინახავთ დიდ სილამაზეს, მომხიბვლელობას, გულწრფელობას... ვინაიდან „კარმიდამოს პატრონი“ სულიერად და ხორციელად ლამაზი ვაჟკაცია. უშურნო, უბოროტო, სიცოცხლითა და მზის ენერგიით სავსე... ნამდვილი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელი“.

ვაჟა ეგრისელმა დაგვანახა ინდივიდუალური შემოქმედება, მან გაგვიღვიძა გმირობისა და ჰეროიზმის, საღი რომანტიკის სული. ვაჟა ეგრისელს უყვარს ფანტასტიკური ამბის, მოვლენის, სიტუაციის წარმოქმნა. ლექსის თითოეული სტრიქონი დაყურსუ-



ღია პოეტური სიმართლით, ტკბილი და გადამღები, უფაქიზესი გრძნობები იწყებენ აღტაცებულ ძგერას ჩვენს გულში და მშობლიური ძალა გვიწევს და გვიხმობს მამულის მოსაფერებლად, მამა-პაპურის მოსაფრთხილებლად. „ვაჟა ეგრისელს მარტო „შავ-ლეგო“ რომ დაეწერა, ამითაც უკვდავყოფილი იქნებოდა ქართულ მწერლობაში.“ დიდი არისტოტელე პოეზიის სასწაულმოქმედებაზე მოგვანიშნებდა. ვაჟა ეგრისელის ლექსებმა ისტორიაშიც ჩაგვახედა და თანამედროვეობის განსჯის საშუალებაც მოგვცა. პოეტის მეტაფორაში მკაფიოდ იხენს თავს პოეტური ფანტაზიის სიუხვე და ფერადოვნება. ლექსი, რომელსაც პოეტი წერს, მისი რაობის – ხატია, რჩეული ლექსები – სულის დღიური.

პოეტი ვაჟა ეგრისელი ხოტბას ასხამს ქეთევან წამებულის ხსოვნას. ლექსში „ქეთევან დედოფალი“ ამბობს:

\*

„სისხლიან პირით უცინიან

ორღესულები –

შუა გაჩეხილ მტერს და მოძალეს...

და წარსულიდან

კვლავ მოისმის

ლოცვა და კენესა:



„ჩემს საქართველოს აარიდე  
დახვარ-ბოძალი  
და ისევ ისე მოიდე ჩემსა“.

წამებული დედოფლის ღოცვა ლექსის უმშვენი-  
ერესი კომპონენტია და მისი სხივნათელი სახე ვარ-  
სკვლავად ენთება ჩვენს სულში და ქართველი ერის  
ისტორიულ მემსიერებაში სამუდამოდ იკაშკაშებს.

### **ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწვევტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*



\*\*\*

თოვლქვეშ მძინარი იაიების

ულურჯეს ეტლით –

სიცოცხლე მოდის,

ხეებზე ჰყვავის ფერი აქატის,

და საფლავეებზე –

დამხობილ ლოდებს,

ამძიმებთ პეპლის ჭრელი ფარფატი.

1957

\*\*\*

დაღონებული,  
სევდის ბალიდან,  
ხელს ისევ გიქნევს ლანდი  
ბესიკის,  
გღვეენ ღღეები, როგორც ჩაფრები,  
დრო მიგაქროლებს გზებით –  
უვალთ,  
გაუხედნავი პოეზიის ფაფარს  
ჩაფრენილს.

1979



**ბრიბალუბი**

არიან შეურაცხადნი,  
თავხედები და  
ურცხვები,  
ეცყობათ შორით მოსულებს,  
აფრებს ეზრდებათ მუცლები,  
ქარი როს დააორსულებთ.

1958



## შიო მღვიმე

აქ არიან სადღაც... ვხედავ,  
ოქროს უამის  
დამწინდველებს,  
რიტორებს და პიტიკოსებს,  
ძველებსა და აწინდლებს,  
კელაპტრებით...  
ეტრატებით...  
ოპიზრებს და მთაწმინდველებს.

1978



\*\*\*

სუსხიანმა დღეებმა,  
ქარი თავს დაარისხეს –  
წერწეტას და  
კარკაცას,  
მაინც ციცქნა ალვის ხე,  
უცებ,  
როგორ დაკაცდა.

1959



## ჩემი ბული ვარსკვლავს უცემს

მთვარისა და მზის სათვალთ,  
კვლავ ვკითხულობ  
დღეს და ღამეს,  
ვით კალენდრის შავ-თეთრ ფურცლებს,  
იგულისხმეთ,  
რაც რომ ვერ ვთქვა,  
შეხეთ,  
როგორ თრთის და ფეთქავს  
ჩემი გული, -  
იმ შორეულ ვარსკვლავს უცემს.

1992



\*\*\*

არაფერია მარადიული!

ქვეყანა ნახავს

(მათ უდგათ შიში),

რა დღეს რა ხვალ,

წაიქცევა სასახლე ქვიშის.

1995



## ღადო ბუღიაშვილს

ცოდო-ბრალით დაბინდული

ეს საწუთრო –

გაფერადდა,

რადგან ფერთა გამად მოხველ,

აბა,

სხვა ვინ შთაბერავდა

სულს

კინტოს და ყარაჩოდელს.

1971



\*\*\*

ქართულ სიტყვის სალი კლდიდან,  
სტრიქონებად ჩამომტვრეულ  
ჩემი ფიქრის ქვას  
და ფიქალს,

ცა –

ათობს და

მზე – აცოცხლებს,

და ღღეები ჩემს ნაფიქრალს

მომავლისკენ მიაცოცებს...

1995



\*\*\*

ჯუკუს ღობესთან,  
დაკას შუკასთან,  
ჩანს ზამთრის თეთრი  
ნაფეხურები,  
ჭასთან აღვის ხე დგას გაქურდული,  
და მის თეთრ ტოტზე  
დამჯდარ ბელურას,  
ჩემი ბავშვობა ეპარება –  
ხელში შურდულით.

1979



\*\*\*

მაღალ მთებიდან ჩამოსულები,  
ჩემი ღურჯთვალა  
მდინარეები,  
სიმშვენიერეში მარად მარწმუნებენ,  
ისინი დედა – მტკვარს,  
ვით ქალწულები,  
ტანის რწევა-რწევით თბილისში  
შემოყვნენ.

1987



## ბაბილონის ბოლო

მილიარდი წლის უღრანიდან  
რომ გვათბობს  
მზის გულია,  
ის თავის შემცველ ასას ელის,  
ცამდე კიბე მიდგმულია –  
ასასვლელი.


1989



\*\*\*

მეხმა ცხვირი კვლავ დააცემინა  
და შეარყია სამყარო  
მთელი,  
შორეულ ცაში გამოჩნდა მთვარე  
(შეშინებული ვარსკვლავების  
ცრემლებით სველი),  
ახალ გაჭრილი საფლავეით  
თბილი და მწარე.

1983



\*\*\*

მომდევს დღეების ლაშქარი,  
ვით ჯარი მეფის –  
სპილოთა,  
ლექს, ვით მარილის კვნიტს ვტყორცნი  
და ვაჩენ ზღვას და  
ქარიშხალს,  
რომ ჩამომეხსნან მდევრები,  
და, მაინც მესმის ზღაპრიდან –  
ყირმიზა –  
ყამარ ქალის ხმა,  
ღრიალი ბაყბაყ დევების.

1959



\*\*\*

შავ ღამეებს გარდასულთა –  
ვარსკვლავების ვარცლში  
ცრიდა,  
სანახები კუს და ლისის,  
და რომ მოჩანს ქართლის ციდან,  
მთვარე არა,  
კოშკი არის ცამცუმისი.

1962



\*\*\*

არაგვის პირას,  
ტყეს შეაკრობს  
რაშის ჭიხვინი,  
და შეღამების მღვრიე ქარ-ბუქში,  
თითქოს ასმათის მესმის ქადილი...  
ასე მგონია,  
სადღაც ახლოს  
გამოქვაბულში,  
ერთურთს ხვდებიან ტარიელი და  
ავთანდილი.

1967



\*\*\*

მოულოდნელად თუკი აცივდა,  
და შენთან მოსვლა  
თუ დავახანე,  
ეს იმას ნიშნავს,  
ბერიკაცივით,  
ვერ მივაშურებ ღამის ბარებს  
და ყავახანებს  
და...  
შენც მშვიდობით...

1989



\*\*\*

ვით აღრე,  
ახლაც ადამის  
ძე,  
კაცი სინდის-ნამუსით  
ფასდებოდა და ფასდება,  
გვაცვია უამთა სამოსი,  
რაც  
რომ დღითი-დღე  
გვაცვლება.

1972



\*\*\*

მკერდზე მიკრული დედა –  
მშობელი,  
უცებ მომწვევია და  
ამაცალა,  
მიტომ ვარ მისი უკმაყოფილო,  
ეს დედამიწა  
არა ყოფილა,  
არც დედა,  
და არც დედინაცვალი.

1989



\*\*\*

რა საჭიროა დიდრო და კანტი,  
საწუთროს სიბრძნე –  
მე ვიცი თავად,  
რომ არ ვეყოფი სიკვდილს ლუკმადაც,  
წიგნში რომ ბორგავს სტრიქონთა ლავა, –  
ეს –  
ჩემი სული ამოვუღებდა...

1992



\*\*\*

გაიელვებს ღრუბელი –  
ცის შორეულ კიდეზე,  
ხატებად მილოსელის,  
და...  
დაფრენენ ვარსკვლავნი –  
ქრისტეს ანგელოსები.

1962



\*\*\*

ცის გახსნას ველი სულის მიღევით  
და ცოდვით სავსე –  
მიწის სტუმარი,  
როდესაც ვუმზერ შორეულ ლაქვარდს,  
ციდან მომესმის ხმა –  
იდუმალი:  
ვაჟა!...  
ვაჟა!...  
ვაჟა!...

1959



\*\*\*

გაბრაზდება და უფალი,  
ცას –  
ელვის სახრეს გადაკრავს,  
და სანამ იგი იტირებს,  
მთვარე, ვითარცა მეტივე,  
ღამის ამღვრეულ  
ჩანჩქერში,  
ვარსკვლავებს მიატივტივებს...

1981



**ხილვა: სამოთხე**

ღვას ლელვის ხე...

ღუმს უნასი...

და სამოთხის ედემ ბაღში,

არ ჩანს ფეხის დანადგამი,

ორნი (ცრემლებს ღმერთს უკმევენ,

– ალბათ ევა და ადამი)

წუხან ღვთიურ სასუფეველს.

1964



\*\*\*

არ ჩანს ღრუბელი ელვის დეზება  
და ქარიშხალში  
მბორგავი ზღვები,  
მიწას ატყვია, ვით ანაცერი,  
ცა –  
მდინარეა,  
ვარსკვლავები –  
ოქროს თევზები,  
მთვარე – ფაცერი.

1977



\*\*\*

სული ზეცისკენ მიიღტვის,  
მარადისობის ფრთის ქნევით  
და ჩვენ არყოფნას ვუფრთხით,  
თუმც ვიცით,  
ბოლოს ვიქნებით,  
წაღა...  
მატლი...  
და წუთხი.

1961



\*\*\*

ჰეგავის სინათლის ნაპირი,  
მოსილი ეკალ-ბარდებით,  
ჩემი მფარველი დუმს კალთა,  
სიმღერით –  
ტირილნარევით,  
მისვლას ვაპირებ უფალთან...

1977



\*\*\*

რითმის ჯინჯილით თავს გაწონებენ,  
უბრწყინავთ ლექსი,  
ვით ეპოლეტი,  
თითქოს არიან მეფის ტოლები,  
სამშობლოვ ჩემო!  
გეყოლება ბევრი პოეტი  
მაგრამ სხვა ვაჟა (ორის გარდა),  
არ გეყოლება.

1959



\*\*\*

შხამით ნაღესი ყველა ისარი,  
ზურგში კი არა,  
გულში გვხვდება მტრისგან ნასროლი,  
მაინც ვერა და ვერ მოგკლეს –  
ოლოდ!  
მაგრამ თუ ქვეყნად ყოველივეს აქვს  
დასასრული,  
შენს მოთმენას და აქ ყოფნასაც ექნება  
ბოლო.

1961



\*\*\*

ქართველმა კაცმა უნდა ილოცოს  
და ილორში ღამე ათიოს,  
რომ ღმერთმა იქნებ,  
ძმათა სისხლი,  
ძმათა ცოდვა, კვლავ აპატიოს.

1994



\*\*\*

ჭიშკართან აღარ მხედება წკმუტუნით  
ბათურა –  
ჩემი სახლის ერთგული,  
ბუხარს არ ასდის კვამლის ბულული,  
დგას მოწყენილი ოდა მეგრული,  
დარდის ძველ ყავრით  
გადახურული.

1984



## მეტეორები

ცაში ტრიალებს ცოდვის მორევი:

მთვარე ვარსკვლავთა

სისხლში იხრჩობა,

ღამე ხელსა კრავს და ცვივიან მეტეორები

ბნელში და შიშით დაბლა მოჰქრიან...

მაგრამ მიწამდე –

სული ვერც ერთს

ვეღარ მოჰყვებათ,

რადგან გზად ცეცხლის სიბობოქრეა.

1981



\*\*\*

კბილდაკრეჭილს –  
ვხატავთ ცელით  
და ვედებით ღობე-ყორეს,  
ნეტავ ცელი ვინ უპოვა? –  
სიკვდილს –  
ქვეყნად ყოვლის მომრევს,  
უძღვეველს და სწორუპოვარს.

1988



## ცააშხა

ცას რომ მსხვერპლს სწირავდნენ  
კოლხეთს თუ  
მიდიას,  
ღმერთო,  
ჩვენს წინაპრებს შეუნდე!  
ცააშხა,<sup>1</sup> -  
ცის ღღეა,  
და სინათლის მაგიერ,  
ღმერთი ცას,  
მზეს უნთებს.

1981

---

<sup>1</sup> ცააშხა – ცის ღღე. /მეგრ./



## უჯარმაში

ყიჟინით და ხმლის კვეთებით  
უამრავი დრო  
გარდახდა,  
ბევრი სახე ჩაქრა მნათთა  
უჯარმაში კვლავ ჩანს  
ვახტანგ –  
“ლომი იგი ღოჭთა” და “გოლიათი  
გოლიათთა”!

1967



## ლიახზო

სულ ცარიელი ძვალი  
და ტყავი,  
როგორ გამხდარა ჩემი ღიახვი,  
ადრე კი ღომი,  
ახლა ფიტული,  
იქვე წყლის პირას ფრთას ძლივს  
მთარხევს,  
ციცქნა ნიავი,  
სულ ახლახან წამოჩიტული.

1981



\*\*\*

სიყვარულით დათაფლული,  
აღარ მესმის ხმა  
ეროსის,  
არ ყვაეილობს ხე –  
ბორჯღება,  
ჩემი ფიქრის კენწეროზე –  
მაღე დამე  
შემოჯღება.

1995



\*\*\*

ეფინება ნისლად არაგვს –  
წარსულიდან ვიღაც კვიის...  
და ღვებიან ცერზე მთები,  
ვაჟას თვალი –  
ტკივა ტკივილს,  
ვაჟას ცრემლებს –  
სდით ცრემლები.

1993



\*\*\*

ნაცემი ქარის ქარაშოტებით,  
დაღურჯებოდა მთელი  
სხეული  
ზღვას და... ბლაოდა კოლხეთს ვერძივით,  
ტალღა კი გრიგალს –  
გამოქცეული,  
ღრუბლებს მიჰყავდა ცრემლიანი  
და დაძენილი.

1993



## ყულევთან

მესმის ტირილი გოგო-ბიჭების,  
ფეხებზე ქაფის ჯაჭვი  
მედება,  
ყულევთან ზვირთთა გულისცემა ისევ  
გახშირდა,  
თმაგაწეწილი კივილი და  
მოთქმა დედების,  
ამოაქვთ ქარებს წარსულის და ზღვის –  
ზარდახშიდან.

1962



\*\*\*

ვითარც რომში მარსის ველზე,  
ქანდაკება ფარსმან  
ქეელის –  
მეფის და მოისარის,  
აქ –  
თბილისში დაიდგმევა  
ძეგლი კაცის,  
ვისაც ველით,  
ჩვენ “მგოსანნი გლოვისანი”!

1994



\*\*\*

ღმერთმა ბევრჯერ გადმოხედა  
და კვლავ ნახა,  
როგორ ბოლავს, –  
მითებში და ლეგენდებში  
ამოსული აქ კოლხეთად:  
“ჩე გოლა” და “ჭითა გოლა”.<sup>1</sup>

1993

---

<sup>1</sup> ჩე გოლა და ჭითა გოლა – თეთრი მთა. წითელი მთა.  
/მეგრ./



\*\*\*

აგვისტოს სიცხით გათანგულს,  
არც სახე უჩანს,  
არც პირი  
და ბნელში ზღვა არარაობს,  
თუმც უნანავეს ნაპირი –  
პალმის ტოტს,  
ვითა მარაოს.

1978



\*\*\*

თავს აფარებენ მიმწუხრს ღრუბლები,  
ჩამავალი გზით მოგიზგიზენი...  
აფრა –  
ქარიშხლის სუნთქვას  
ნატრულობს,  
ზედაპირს ხერხავს ქეო ზვიგენის  
და...  
წევს ზღვა მუცელგამოფატრული.

1978



\*\*\*

მამული ისევ მოელის  
ცამცუმს...  
უსუკს და ამირანს –  
შვილებს,  
სიცოცხლის მოსურნეს:  
“ზღაპრიდან გამოპარულებს”,  
ლეგენდებიდან –  
მოსულებს.

1993



\*\*\*

შვილმკედარ ჭირისუფალივით –  
უმთვარო ცა,  
შავი ღრუბლის  
ნაჭერს შუბლზე კვლავ წაიკრავს  
დარდიანი,  
და ქუხილზე სუნთქვა ეკვრის,  
და ვარდი რომ  
ვარდი არი,  
ისიც იცვამს პერანგს ეკლის.

1982



\*\*\*

მიჰქრის უამი –

დღეთა ფეხქვეშ მფენელი,

მაქრობელი წყვდიადის და...

მოდარე

გითვაღთვალეbs უფლის სასუფეველი,

ის “ახლო არს, კარსა ზედ” –

მომდგარი.

1960



\*\*\*

სამშობლოსათვის თავდადებულთა  
ხსოვნის დღეები  
იმედს კვესავენ  
მათი გულისთქმა მესმის გმირული,  
მეც კოლხი ვარ და...  
მეც ცოტნესავით,  
ჩემი სამშობლოს სიყვარულში ვარ  
ჩაკირული...

1992



\*\*\*

ცას

შუა გახევს ელვა,  
თითქოს მოშე ან აბრამი,  
საქორწინოს ჭრიდეს ფართალს,  
ღამე,

მთვარის თითისტარზე,  
მოქათქათე ღრუბლებს ართავს...

1961



## ქართლის ღამე

ვარსკვლავებით გადაწერილს  
ცას გადაშლის –  
როგორც გუჯარს,  
როს ღრუბლების ნახავს ურდოს,  
მეცხეულად ქართლის ღამე,  
მთვარის მახვილს –  
კვლავ ჩაბღუჯავს.

1992



\*\*\*

მომეხსნა ღამის სიძიმე,  
როს ცამ ვარსკვლავი  
მოიხსნა,  
– ყვაული არა, ციმციმი  
ყოფილა თურმე სამყარო,  
როგორც ეს  
ბრძანა ჯოისმა.

1964



## მე ვარ ენქიდუ

ფიქრმა უეცრად მომაშხეფა ტალღა –  
ეფფრატის  
და ძილგამკრთალ და თვალბნელ ღამეში,  
ორი ანრდილი წამოვიდა ჩუმი ფარფატით  
და სანთლის შუქზე –  
ჩვენი მზერა გადაიხიდა:  
– მე ვარ ენქიდუ!  
ის გილგამეში! –  
მომესმა უცებ,  
ათასეულ წელთა იქიდან.

1979



\*\*\*

გავეურებ სივრცეს,  
მთვარე ისვენებს,  
და ვარსკვლავებით თვალი ერთობა,  
ნაპირზე მშვიდად დგანან ხეები,  
ჩემი ფიქრები ცას უერთდება,  
ვითარ მღელვარ ზღვს –  
მდინარეები.

1989



## ეპიგრამები

ვინ იცის, რა გზით უვლია,  
ფიქრებს რომ მიშლის  
ბეწვივით:  
ამ უცხო ცას რომ შეეშუს,  
ძაღლი არის თუ სულია,  
შორეთში –  
გარდახვეწილი?!

1983



## სერაფიტა

სილამაზით მჯობნი,  
მაგრამ  
აფროდიტე არ იყავი,  
შობილიყავ შენც ქაფიდან,  
მაშ,  
მცხეთასთან –  
მტკვრის სარკეში,  
ვით გიხილე, სერაფიტა!

1960



\*\*\*

ღურჯი ზღვები და მდინარეები –  
მიწას წყლულებად აჩნია მკერდზე  
და ჯერაც აღარ შეხორცებია –  
და მარადიულ ტკივილებს ეროვის...  
ცის უსასრულობაა –  
ღმერთი,  
ვარსკვლავები –  
გაქვავებული ღოცვებია.

1978



\*\*\*

“სამძღვარს” იქით,  
ისევ ისმის ჭიხვინი,  
უგზო-უკვლოდ მფრენი  
ტატოს “მერანის”,  
ცა და მიწა უსმენს სულ გაღურსული,  
უამიც მიჰქრის...  
ვერ ამოხსნა ვერაინ,  
რას წერს ღამე –  
ვარსკვლავების ღურსმნულით.

1966



\*\*\*

ზეცა,

მიწას მსუბუქ დარდად,

შუბლზე აფენს

ნისლის ხაშხაშს,

და ქვეყანა შავი ღამის –

მთვარეს, როგორც მთვარსარდალს

ვარსკვლავებით

დაულაშქრავს.

1971



\*\*\*

ზღვის ლაქვარდოვან სიმსუბუქეში,  
ქარები,  
უფროობას ითმენენ...  
ცაში ღრუბლებმა ატეხეს ხმაური,  
როდესაც ჩაუყო უბეში,  
ცისარტყელამ –  
ფერადი თითები.

1967



\*\*\*

ბზის ტოტებივით ზამთარ და ზაფხულ,  
ლოცვები ჰყვავის იღორს  
და ყინწვისს,  
არ ეკიდება ჟამი თბივით,  
ხეები –  
ვედრებაა მიწის,  
მარადჟამს ცისკენ ხელაპყრობილი...

1967



\*\*\*

სიყვარულისთვის გეზაგრავს უფალი,  
სული გველევა კარგის  
ლოდინში,  
თავი გეჭირავს მაინც ამაყად,  
მაგრამ დღეები –  
ღამის როდინში,  
ქვამარილივით მაინც დაგუნაყავს...

1977



## უხმო ძახილი

არავინ იცის წელი რამდენი,  
გადავიწყების წვავედა სახმილი,  
ზვირთთა აკვნებში  
ქარმა არწია...

და ბოლოს მაინც –  
დაღუპულთა უხმო ძახილმა,  
ჩემს ფიქრთა ზღვაში  
შემოაღწია.

1969



\*\*\*

შორიდან გადმოვლენილი

ქუხილი –

ხმა ამირანის,

ელვა –

ღიმილი ყამარის,

იდუმალეებით თავს ადგას

ცას –

მზის და მთვარის

სამარეს.

1987



## კავკასიაში ბინდლება

“ჩეჩნეთი მიწასთან გაასწორეს  
რუსეთის ჯარებმა”.

გაზეთებიდან

მოესმით წინაპართა ძახილი

ინგუშებს,

ჩაჩნებს და

ადიღელთ,

მეოტების,

კერკეტების და სინდების:

სანთლებად “მახვილი ადიღეთ!”

კავკასიაში ბინდლება!

1994



\*\*\*

მზის მცხუნვარებით არ თბებიან  
და ახრჩობთ ქარიშხლის  
“სურნელი”,  
ზღვები –  
მიწის ქვაბში დამწყვდეული,  
მკლავებდაკუნთული –  
გოლიათებია,  
მარადჯამს თავისუფლების მსურველი.


1991



\*\*\*

ვარსკვლავთა ქვიშით გახურებულ  
ცის უდაბნოში,  
აღბათ მოსწყინდა მარტო  
წანწალი  
(რადგან ღმერთობა არტემიდეს არ  
დაუფასდა),  
ამიტომ თავის ჩამოხჩობა სურდა უფალსაც,  
ელვის თოკით და...  
მაგრამ ბევრჯერ მე წავასწარი.

1972



\*\*\*

ვით მომლოცველი,  
მთვარის სურჯინით,  
კარიდან-კარად დადის  
აპრილი,  
თითქოს და ჩვენი ბერი პაპაა,  
ოკეანე კი გველემპია,  
მზად მყოფი,  
მიწის ჩასაყლაპავად.

1986



\*\*\*

მწვანე ნისლებში სძინავთ ჭიუხვებს,  
თოვლის სიზმრებში –  
თრთიან ქედები  
და გაზაფხულის ცას აბოდებენ,  
მზეს –  
გამოქცეულს ზამთრის მთებიდან,  
უკან მოსდევენ ჩანჩქერები –  
უხმო გოდებით.

1976



\*\*\*

ღელვა და აურზაურში,  
თოლია გამოიზამთრებს...  
ქარის ხმა ისევ აფეთებს:  
ზღვების –  
შავსა და გრუზა თმებს,  
მთების –  
ჭადარა საფეთქლებს.

1959



## ორთა ღიალობი

– სანდრო?

– ჰო, სანდრო!

კაცი ჯანმრთელი,

სად-საღამათი,

წასულა წუხელ...

აი, ამიტომ არ არის სანდო

სიცოცხლე!!!

– სიკვდილი?

– სიკვდილმა არ იცის ღალატი!!!


1965



\*\*\*

გადაუფრინეს ფრთებს და მწვერვალებს  
ცას და ღმერთებთან მებრძოლ ტიტანებს,  
და დიდი სიბოროტე რომ წაიდეს  
შემოდგომაზე,  
ჩვენმა მერცხლებმა,  
გაზაფხულზე –  
ისევ უკან ჩამოგვიტანეს.

1987



\*\*\*

სობის პირას –

ღურჯ ჭალაში,

შავი აბრეშუმის ხნული,

ერთმანეთზე აფენია...

ვით კოდალა ხეს წიფელის,

გლეხი გუთანს –

ჩაფრენია.

1964



\*\*\*

ქოფაკივით მზის ენა გადმოგდებული  
ივლისი,  
ცოფს ყრის და ღობე-ყორეს  
ედება,  
შეკრთნენ და მიწისფერი დაიდეს ქედებმა,  
დადის...  
და ხახამშრალი წყურვილი,  
ჭებში ოწინარივით იხედება.

1959



## საირხე

წარსულ დროთა –

ძველ მარნებში,

სხედან ჩვენი წინაპრები

და კვლავ ცლიან მზის ფიალებს...

და... იმათმა რომ შეაბეს,

ის კარები უჭრიალებთ –

საირხეს და ვანის ქვაბებს.


1991



\*\*\*

უცებ ხვლიკის კუდის ფერად,  
ცისკიდური ამომწვანდა,  
მერე წამსვე დანახშირდა,  
ქარის –  
ხმალი ამოწვავდა  
ზღვამ,  
სიჩუმის ქარქაშიდან.

1959



## საბავშვის ნანადირევი

“გიბრძანებ (ყარჩიხა ხანს), კახელნი  
ამოწყვიტო, ქართლელნი დედაწულიანად  
აპყარო და სპარსეთს წამოასხა, ხოლო  
მოურავი დაუყოვნებლივ მოჰკალ, თავი  
მოჰკვეთე და გამომიგზავნე”.

შაჰ-აბასის წერილიდან

მოფრინავს შაჰის შათირი,

უცებ გამოცდა ლოჭინს და...

ხუნდში გაება “ქედანი”,

თუმც სიკვდილს მოაჭენებდა

წიწილი იქედნეთანი.

1964



\*\*\*

სადღაც ღრუბლებთან,  
რომელიღაც შავი ფრინველის –  
გაშლილი ფრთები ისევ ირწევა...  
ცაზე რომ გაკრთა,  
ელვა კი არა,  
ღმერთმა პირჯვარი გადაიწერა.

1961



“დიდ თურქობა”

დარჩა ქვეყანა ურჯულოთ,  
არ უჩანს დღეებს –  
ფრთაშავეებს,  
არც ბოლო, და არც სათავე,  
მარტვილს მირონს არ ხარშავენ,  
მცხეთას ყრმებს აღარ ნათლავენ.

1973



\*\*\*

მთები –  
ღმერთების საფლავებია,  
დედამიწას კოპად რომ აზის  
მზე ადნობს წუხილს, თეთრად  
გადმოშლილს,  
ხახამშრალი ვარსკვლავები –  
ცის უდაბნოში,  
ვით ბედუინნი დაექებენ მთვარის ოაზისს.

1969



\*\*\*

მწუხრის მოსურნე და მომლოდინე  
ზღვა –  
დუმს ქარებით  
გადაბელილი...  
და, ცა ქუხილის ტორებს კვლავ იქნევს,  
მიწა კი მაინც დედაბერივით  
წველის და წველის  
ღრუბლების ჯიქნებს.

1972



\*\*\*

აქ,

სასაფლაოს მაღალ ცაცხვებთან,  
მზის ამოსვლამდე,  
ამ სისხამ დილით,  
რომ ჩაუარა მკვდართა პალატებს,  
სული წმინდაა –  
პეპელას ჩრდილი,  
დასაველეთისკენ რომ მიფარფატებს...

1957



\*\*\*

ზესკნელი სკაა –  
ვარსკვლავების ისმის  
ზუზუნი,  
მთვარე კი დედა-ფუტკარია,  
და ცა ახურავს მიწას,  
ვით როფე,  
მამლები ყივილის პროექტორებით –  
ანთებენ ღამეულ სოფელს.

1962



\*\*\*

რადგან მეოცის ვერ მოვასწარი,  
ოცდამეერთე საუკუნე  
უნდა გავხედნო,  
თუმც მიფრინავენ წლები, როგორც გუნდი  
წერთა,  
სხვა ათასწლეულს მსურს გადავხედო,  
ორი ათასი წლის –  
კენწეროდან.

1995



\*\*\*

ყოფლის წამლეკავ ქარსა და  
ქაოსში,  
დრო მიგვაქროლებს,  
ვითარცა ბაიდას,  
და წვეთავს სინათლე...  
და უფრო ბინდია,  
არავინ იცის მოვსუღვართ საიდან,  
ანდა სად მივდივართ...

1978



\*\*\*

ირგელივ სუფევს წკვარამი,  
თუმც ღღეები აკმევენ,  
ჩემს ფიქრებში მზის ღერებს,  
ამდამ ჩემს სარკმელთან –  
მთვარე ყელს მოიღერებს...

1966



## ნაცარქმია

ზღაპარში ყოფნა –  
ბოლოს მემცხეთა,  
დროს –  
დედინაცვალს ვუთხარ  
“არული”,  
და იმ ძმათაგან –  
მე ვარ მეცხრე ძმა,  
დევის კოშკიდან გამოპარული.

1959



\*\*\*

ცაში,

მთათა მწვერვალების,

ნახტომები ჩანს

ვეფხური,

და თოვლს,

ქარის ფრთა ერწვევა...

მთვარე –

თეთრი მწვევარივით –

მისდევს მნათთა ნაფეხურებს...

დაეწვევა?!

1978



\*\*\*

მამლის ყივილით და მზის ძახილით,  
ადიდებულა ცისკრის  
ნაპირი  
და ნათელს მთები ვერ აკავებენ,  
ღამე,  
სივრცეში გაწოლილა გველეშაპივით  
და ხახა საგსე აქვს  
ვარსკვლავებით.

1978



\*\*\*

გადმოსულთ მღელვარ ზღვათა იქიდან –  
მტირაღა ღრუბლებს,  
და ქარებს შეშლილთ,  
გზა-გზა ამშვიდებს და ამუნათებს  
და მთელი ღამე,  
უზარმაზარ  
მზის სანთლით ხელში  
მოიწევს ღმერთი, –  
დღის უკუნი რომ გაგვინათოს...

1962



## ფშავსა თუ შუაფხოს

მე ვნახე პირველმა:

ფშავსა თუ შუაფხოს,

ნიაგმა ნინველმა,

აღუჩას გულ-მკერდზე

მფეთქავ ძუძუსთავს –

ციცქნა კვირტს,

თითი ვით შეახო.

1972



\*\*\*

ვართ მილიარდი...  
განა ათასი,  
ამ წუთისოფლის გზაზე მარები,  
და ვით ანთებული ასანთები,  
რომ არ ჩაგვაქროს ქარმა  
უამთასელის,  
ღღეებს,  
ვით ხეებს ვეფარებით.

1994



\*\*\*

თვითონ ჩვენგან განწირული,  
დაღუპვისგან,  
კვლავ რომ იხსნას,  
საქართველო თვალებსველი:  
მოყვრის შიშს და  
მტერთა რისხვას,  
იმ გორდა ხმლის ელვას ელის,  
ერეკლემ რომ შემოიხსნა!

1995



\*\*\*

ზღვა ქარიშხალს ელოდება,  
ბოლთას სცემს და  
გულში დელავს...  
ცას ღრუბელი აწევს ბარგად,  
მეხის ხმაზე –  
გაკრთა ელვა,  
და ჩახედა თვალში გაგრას.

1969



\*\*\*

მთვარის ცივ და დიდ სარკეში,  
ზამთრის ღამე განათევი,  
შუბლშეკრული კრთის  
უფალი,  
და აუდის კვლავ ნათელი  
ცად ვარსკვლავებს –  
ანგელოზთა ნატერფალებს.

1967



\*\*\*

შორიდან,

ზღვა რომ ჩანს კრიალა,

შიგ მუდამ შფოთი და

ქარია...

ცხოვრება

სიზმარი კი არა,

სიზმრის

სიზმარია,

მარია.

1970



\*\*\*

მარადჟამს შურის სდევნ თვალები...

სულ ერთად ყოფნის ნდომით  
დნებიან,

ასე მიდიან ეს დღეები კენტი, ლუწები,  
მაღალი,

თეთრი ბარძაყები –

ტყუბი დებია,

სიარულში რომ ერთურთს უსწრებენ.

1959



\*\*\*

ბოლოს მაინც იქ მიდიან,  
ბატონის ერთგულ  
ერმასავით,  
სადაც რკინის ჯვარს ასვამენ,  
და ჭიქას თავს წაუქცევენ  
წუთისოფლის შხამ –  
ნასვამნი.

1989



\*\*\*

დღე მზის ღუზას,  
როს ჩაუშვებს ზღვაში,  
ღამე,  
მთოვარის თეთრ აფრას გაშლის,  
და ქარი არა,  
დადუპულთა სულეების კვნესა  
შეაკრთობს ნაპირს... და  
აგა ცაში  
მიწის დუმილი...  
ვით მუხლმოყრილი ტალღების მესა.

1985



\*\*\*

ვითარც უვლია,  
ისე გაჰყვება,  
უამთა მდინარე თავის  
კალაპოტს...  
შენ უფლის მონა და მიაშიტი,  
შვილი “უძღები” და უღალატო,  
მშობლიურ ცის ქვეშ ამაღლდები სულად –  
გრანიტის.

1994



\*\*\*

გრიგალი ქვეყნის დასასრულისკენ  
მიაქანებდა მთვარის კილობანს,  
და ვარსკვლავები შიშისგან  
თრთოდნენ,

არ ჩანდა ნოე,

და...

ქაოსიდან მე როცა მოველ,  
“მთელი სამყარო ზღვა იყო ოდენ”.

1959



\*\*\*

როცა

ზღვა გულში ჩამიკრავს,  
მერე ალერსით დამახრჩობს,  
ვიცი, რომ  
მე მომინდება  
წითელტუჩება ყაყაჩო,  
მწვანეთვალება მინდვრები.

1958





**ბელორუსიაში**

ვარსკვლავების ნაკვერხსლები

ყრია წყალში,

ბორგავს ბუგი

(თითქოს აქვე მტკვარია და ნავთლუდია),

და ნაპირებს თავთუხიანს –

ემუქრება გადაბუგვით.

1983



\*\*\*

ქარის ზღვის კარად კივის და კივის...  
აკანკალებს და ო,  
როგორ სცივა,  
პანდორას ყუთში დარჩენილ იმედს,  
საღამო თიბავს –  
სინათლის თივას  
და დგამს ვარსკვლავთა ოქროსფერ  
ზვინებს.

1976



\*\*\*

გვაჩენს და მადლით გვაგებს უფალი  
და მსრებზე გვიდგამს  
სავსე თუნგივით  
და დაგვატარებს მტერიან შარაზე,  
ამ წუთისოფლად,  
გზა-გზა ეღვრება...  
და იმ წვეთებს ჩვენ ვუხმობთ ყოფნად.

1962



\*\*\*

ცხოვრების ორომტრიალში,  
დღეები –  
სანთლებივით მიქრებიან,  
და წუხს დრო-ოხერ ტიალი,  
ღრუბლები –  
მოკვდავთა ფიქრებია,  
ცის უდაბნოში –  
უბზო-უკვლოდ მოხეტიალე.

1978



\*\*\*

ღამით რომ რეკავს იღუმალ ზარებს  
და მარადიულ წყვილადს რომ  
ერთვის –

მთვარეა – მნათე,

მზე – არის ღმერთი,

ყოველ დილით რომ გვაფენს ნათელს...

1966



\*\*\*

უსასრულობას მიჭედელ ზესკნელს,  
შიშით შესცქერის ზღვაცა და ხმელიც,  
როს მეტეორი გაიელვებს,  
ვით დიდი აზრი,  
და,  
ცას დაწერილს უფალის ხელით,  
უფლის ბეჭედი –  
მთოვარე აზის.

1967



\*\*\*

დაძრწიან ყურსაღარები...  
შვილწართმეული  
დედები,  
ზარს არისხებენ კაკაბეთს,  
ცა,  
ღრუბლებს –  
ელვის მაკრატლით  
ჭრის მათთვის, ვით შავ საკაბეს.

1979



\*\*\*

ფერს კარგავს ყველა მშვენება,  
ზღაპარიცა და  
იგავიც,  
როდესაც ციდან თოვლი თოვს...  
არ გავა ღამე,  
გრიგალმა,  
ზღვა ზურგზე რომ არ მოიგდოს.

1972



\*\*\*

ისე,  
როგორც წითელქუდა,  
ნაწვიმარ და ნამაისევ  
ბილიკს –  
მიუყვება სოკო...  
ცისკარი კი ნამავს ისევ,  
ვარსკვლავების ვარდის  
კოკორს.

1962



\*\*\*

ყოფნა – არ ყოფნით აბურღულ –  
დღისა და ღამის მინდორზე  
დის წუთისოფლის მდინარე...  
წყლის ყველა წვეთში –  
ზღვა ბუდობს –  
სიცოცხლით სახემცინარი...

1967



\*\*\*

ლოდინით დაღლილ გემებზე –  
დგანან ფეხმძიმე აფრები,  
ქარიშხალი კი თოლიებს  
წივილ-კივილით  
ღრუბლებთან  
ავა და აიყოლიებს...

1964



**ქვიშეთი – 81**

შორი გზიდან მომავალი  
ხმა –  
მოესმის გაზაფხულის  
და... ციყვუნა ნაძვის უკან,  
შიშით თვალებს აფასულებს  
და ტოტებზე ხტის და...  
ცმუკავს...

1981



\*\*\*

რომ არ შეუხსნან ქურდულად კარი  
და არ მოპარონ ცას  
ვარსკვლავთა თვალ-მარგალიტი,  
დღისით – მზე დარაჯობს,  
ღამით კი მთვარე.

1971



\*\*\*

ვაუამ იცოცხლა ხუთჯერ ათი  
და ოთხით მეტი

წელი...

მე კიდევ ორიოდუ დამრჩა იქამდე,  
არსთა გამრიგე თუ არ მეტყვის:

აწ უკვე დროა!

დღეები –

ჩემი ღამაზი დები,

მოდინ ჩემთან სანახავად,

მზეები მოაქვთ,

მე ისევ ვწევარ და თანდათან ლექსებით  
ვკვდები.

1993



ქართული დაისები

ელვის სატევრებს ჩაიცემენ,  
დრუბლები გულში და...  
როდესაც  
ჩემი გაჩენის დღე დაივსება,  
დარდს და სინანულს ჩაიცვამენ  
და მოიგლოვებენ ქართული  
დაისები.

1989



\*\*\*

აღარ ყოფნის ჰაერი და  
სიყვარული  
მკერდს შეისხნის  
და ღამის ცას აყურადებს:  
საიდანღაც წყველიაღიდან  
ხმა –  
ვარსკვლავის ისმის –  
ისნის...

1998



**მერეხი**

ქარიშხალი ეღვის სახრით,  
დრუბლებს მირეკს,  
როგორც მესრე,  
მესთა-ტეხა ცას აყრუებს,  
ღგას ლედვის ხე უდარდელად,  
ტანი უგავს ღომის ფეხებს,  
ფოთლები – კი სპილოს ყურებს.

1958



\*\*\*

გაჩენის დღიდან ფეხზე დგას ზეცა,  
მიწა კი ისევ უზრუნველად  
წევს სიზმარ-ცხადში  
და არ ადარდებს:

დღის კარი რომ ხშირად იღება,  
ბოლოს და ბოლოს ფეხზე დგომით ცა  
დაიდლება,  
მაფიქრებს:

მიწა რას იზამს მაშინ?

1962



\*\*\*

დასაუღეთით მიმავალი  
მეხი –  
გზაზე მიხარხარებს  
და სველია, ვით მეურმე,  
ცა,  
ღრუბლების ნიშა ხარებს,  
უჭერს ელვის აპეურებს...

1959



## ბრანელი

ვერ უმკურნალეს,  
ვერ უშველეს,  
ლექსით ავადმყოფს,  
მერე გვიან კი შეაწუხათ სინდის-ნამუსმა  
და მიჰკიოდნენ დიდებიც და პატარებიც,  
თითქოს სადგურში –  
დააგვიწყდა პოეტს ჩამოსვლა  
და...  
მარადისობაში გაჰყვა დროის  
მატარებელს.

1961



\*\*\*

სანამ ჩენი მტერ-მოყვრები,  
ახალ სახლის საშენებლად,  
დაგვაყრიან ქვას და ქვიშას,  
მანამ იმედს ნუღარ ვკარგავთ,  
რომ აქ კიდევ არა გვიშავს,  
თუ მანდ –  
მოვეწყობით კარგად.

1988



\*\*\*

ცა,

ღღე და ღაღე მეძახის,

მთვარის ღუმილი მიტაცებს,

მაგრამ მადარდებს

მე უფრო,

რომ ძველ იბერთა მიწაზე –

სიკვდილი

ისევ მეუფობს.

1994



\*\*\*

ზღვის კუთხეში მიმჯდარა და  
ქარი,  
აბრეშუმის ზვირთებს,  
ჩამავალ მზის გვერგზე ართავს,  
და იქვე ნავს,  
ვით პატარას,  
შვენის აფრის თეთრი ბაფთა.

1967



## შემოღობა, მერცხლები

ჭიკჭიკით თავზე ევლებიან  
ოდის აივანს  
და ჩუქურთმიან თავის ლოყიდან  
მოწყენილები –  
დიდხანს მიმზერენ...

აღბათ,

ახლოა დრო –  
განშორების.

1959



\*\*\*

ვითომ არა?..

კარგად იცი,

მე ვინცა ვარ!

თუ სიყვარულს გადაღებენ...

მეც მიყვარხარ!..

ცას გფიცავარ –

მამაღმერთის

საბრძანებელს.

1956



## ჰვამის ყანა

აპრილის წვიმით გაღვიძებული,  
იქ ახლა ყანა  
შრიალებს ჭვავის,  
სადაც სიცოვე ზამთარს დაება,  
სისხამ დილიდან,  
მიმწუხრამდე ბოლთას სცემს  
ყვავი  
და ელოდება ჭვავის ყანის დათავთავებას.

1959



\*\*\*

ხელში ფართ და შუბშემართული  
ჩემი დღეები –  
ძველ რომაელთ ჰგავდნენ  
მეომრებს,  
წინ მზე უძლოდათ კეისარივით,  
იმ გზას –  
ჩემეულს,  
ვერვინ გაიგლის  
და ვერც ვერავინ გაიმეორებს.

1995



\*\*\*

“დედის დაწვეთებულ ცრემლზე ია  
ამოდისო!”

გ. ლეონიძე

წუთისოფლის მტვრიან გზაზე,  
უცებ დაფრთხნენ დღეები და  
განზე გახტნენ კალიებად,  
მიტომ ტირილს ღამობს სტვირი,  
და მიწიდან კვლავ  
იებად –  
დედაც მიტომ ამოგვტირის.

1979



\*\*\*

ხობის წელის პირას –  
პარას ჭალაში,  
ზის მოწყენილი ჩემი  
ბავშვობა  
და ქვიშაში გაჰყავს გვირაბი...  
ნეტავი რისთვის?!

1972



✽

## მესხეთში

ვეფხის ზოლებზე დავწერო,  
რაც შოთას დარჩა უთქმელი  
შაირი,  
ისე მესხურად,  
თქვან, რომ სულმნათი რუსთველის,  
ნათელი გადაესხურა...

1963



\*\*\*

მთვარის კოშკიდან მოთვალთვალე,  
გამოუსწორებელი მეოცნებე  
ხედავს:

როგორც კრწანისიდან –  
მარტყოფამდე.

როგორც მესხეთიდან –  
მეოცემდე.

ერთი ნაბიჯია ყოფნიდან –  
არყოფნამდე.

1979



## იაზონი და აუსირტი

ცა დააბნელეს ისრების მერეხით  
და მერე  
შუბებიც

ასხლიტეს,  
და... კოლხურ ნავის აფრიდან –  
იაზონის და აუსირტეს,  
ბრძოლის ლეგენდა  
აფრინდა.

1962



\*\*\*

რადგანაც კვნიტი სიცოცხლისათვის,  
ცხოვრება თურმე ყოფილა  
ბრძოლა,  
რადგან ერთურთს მტრობს მწუხრი და  
დილა,  
აბრუნებს უამი –  
მზის და მთვარის  
ვეება დოლაბს  
და ფქავს სულდგმულთა მოდგმას  
და ჯილაგს...

1971



\*\*\*

დიდი ხნის მერე “იქმნა ნათელი”,  
თფუი!  
ავსულებს,  
ეშმას,  
შაითანს!  
“ამაღლება” და “ნათელხილვა”,  
ისევ გრძელდება,  
უბედურებას ვარ ჩვეული...  
და გადავიტან,  
ბედნიერების გადატანა გამიძნელდება.

1993



\*\*\*

ოცდახუთ დეკემბერს მწუხრისას,  
განათლა ცა,  
ვითარც ბეთლემი,  
და მერე მოვარდა ქარი, ვით ნადირი,  
და შუაკერასთან მითვლემილ  
ცეცხლსა და ნაკვერჩხალს სულ ბოლი  
ადინა...

1966



## ციცინათელა

ლოცვებით მორწყულ ცის ყანაში,  
ღმერთები მნათობებს  
თესავენ,  
სინათლის ცეცხლნარევ ზარებს –  
არისხებს მწუხრისას მნათესავით  
პაწია ციციანათელა –  
მზის შორეული ნათესავი.

1957



\*\*\*

მაძიებელს მდინარეთა სათავის,  
მარადის თან დამდეგს  
ნამთარი,<sup>1</sup>  
და ზღვოსანი წინაპარი ჩემი მავალებს,  
სანამ საწუთროს –  
გზას დავამთავრებ,  
ვიყო ზღვის წიაღმავალი.

1981

---

<sup>1</sup> ნამთარი – ბედისწერისა და სიკვდილის დემონი /შუ-  
მერულად/



## ვაჯავრებთ ეშმაკს

ყოფნა წყვდიადით არის მოცული,  
ფიქრთა გვირაბში  
არ ჩანს სინათლე,  
სადაც არყოფნა გარბის კვიცივით,  
თითქოს ფინიშთან დააგვიანდა,  
ვაჯავრებთ ეშმაკს,  
როცა ვიცინით,  
თორემ შორეთზე მწარე ფიქრი გვტანჯავს  
ნიადაგ...

1979



\*\*\*

ველგან სიცოცხლის ხმები გაისმის,  
“კაფე-თესეო” –  
კივის გუბული,  
და იშმუშნება ველი კრწანისის –  
მაჰმად-ხანის და...  
ყაყაჩოების  
ცეცხლით ათასჯერ გადაბუგული.

1977



\*\*\*

(ნახევრად ირონიული)

მაშრიყსა და მადრიბს ზვერაგ,  
და გასაფრენ სივრცეს  
ეძებ,  
რომ თქვან: ეს ვინ გყოლიათო,  
თერამეტის ხარ,  
მაგრამ მხრებზე,  
გრძნობ ორბის ფრთებს –  
გოლიათურს...

1959



\*\*\*

სწორუპოვარი მებადურია სიკვდილი,  
აბობოქრებულ  
სიცოცხლის მდინარეში  
თევზაობს...  
და ამაყად დადის,  
არავინ იცის, ხმაურის გარეშე,  
სად,  
ან როდის მოისვრის  
ბადეს.

1987



## ნატანეზუი

მზე იყო ნეფე...

იყო ქორწილი...

გურიის ლურჯ მთებს ნისლი ებურა,  
და ქარქაშიდან ცად ამოწვდილი

ქუხდა,

ელავდა “ხასანბეგურა”,

და მერე გვიან...

ვარსკვლავებმა მოვარე

ნატანებს,

მამლის ყივილის –

მქროლავ ეტლით ჩამოატარეს.

1962



\*\*\*

შეხე?

არყოფნა,

უნდო და ფლიდი,

ხიდზე გადადის მოხრილი მშვილდის,

მერე შეჯდება ისარზე და...

ყოფნავ!

მშვიდობით!

1988



\*\*\*

ჩემი სამშობლოს მაღალ დირესთან,  
ქედები თოვლის სანთლებს  
ანთებენ...  
და მე ვმაღლდები, ვით მაცხოვარი,  
როცა წკვარამში ღამენათევი,  
ჩემს ღია სარკმელს  
მოადგება  
დილის ნათელი.

1979



\*\*\*

სიმეუდროვიდან გამოქცეულებს,  
რაღვან ქარები  
კარებს უღებენ,  
და რაღვან ყოველს ბედი განაგებს,  
ქედგადრეკილმა ზვირთთა  
ბუღებმა,  
ზღვის ყანა უცებ გააჩანგეს.

1978



\*\*\*

დასაბამიდან ცად ცხოვრობს ღმერთი  
და მოკვდავების  
არ ისმენს ძახილს,  
მათ ლოცვა-წირვას აღარ ესწრება,  
ცად უღვას მთვარის –  
ქათქათა სახლი,  
შემოღობილი ვარსკვლავების  
ოქროს მესრებით.

1959



\*\*\*

საქართველო დავითივით,  
თავდასხნილი ხელთ რომ გეპყრა,  
დაგრჩა?  
ღელო გატანილი?  
შეეწირე მამულს მსხვერპლად,  
საადღეომო ბატკანივით...


1994



\*\*\*

ხობის წყლის ანკარა თვალში,  
აღსავსე მნათობთა  
ამბორით,  
ღივლივებს ცის ლურჯი თაღი,  
სცივათ და...  
ცხელ ქვიშაზე გაგორება  
უნდათ ტიტლიკანა  
ტაღლებს.

1978



\*\*\*

ოცნების მიღმა...

და ფიქრებს იქით,

ყვავილობს ბაღი –

აპრილისფერი,

შორსაა,

მიტომ ჩვენ ვეღარ ვარჩევთ,

და მომავალში მივიჩქართ

თავპირისმტვრევით,

რომ სამუდამოდ –

წარსულში დავრჩეთ.

1988



\*\*\*

ტყის უდაბნოში მდგარმა ხეებმა,  
ტანთ რომ ღუმილი ეცვათ,  
და ქარებში რომ სივრცეს  
რკალავდნენ  
და მიწას დიდხანს რომ უმაღავდნენ  
– გამოუჩინეს ზეცა.

1965



\*\*\*

წუთისოფელი ასე ყოფილა,  
თუნდაც შირაზის  
ვარდით მოჰფინო,  
თურმეა სულ წყლის ნაყვა –  
თქვა პოეტმა და,  
უკმაყოფილო,  
უცნობ ბილიკებს გაჰყვა...


1961



\*\*\*

თვალეზზე ლიბრგადაკრული უფსკრულები,  
დღესა და ღამეს  
ვერ ანსხვავებენ,  
თუმც ცა საესეა ვარსკვლავებით –  
ძილის ვარდისფერი –  
ნამსხვრევებით.

1978



\*\*\*

მზემ ფრთა დაკეცა ღამის ბუდეში,  
ღრუბლები წვიმის ძაფს  
იმსხვილებენ...  
და ცრემლმორეულ სანაპიროზე,  
უდედოდ დარჩენილ წიწილებივით,  
წივწივებენ –  
მზის სხივები.

1989



\*\*\*

სამყაროს წამში ათასჯერ უვლი,  
თავგამეტებით –  
მომწყდარ კომეტის,  
და ვარსკვლავების ჭრილობები მკერდზე  
გატყვია,  
ცით მოვლენილი –  
შენ ხარ პოეტი,  
და დედამიწა ხელისგულზე გიზის  
ბარტყივით.

1961



\*\*\*

ვით სასპერების,  
კოლხების და დიაოხების,  
ზღვაში ბინადრობს სული –  
ლაზების,  
მიტომაა, რომ ზღვა ასე შფოთავს,  
რიონიც მიტომ მიიზღაზნება,  
ზღვასთან აღარ სურს  
შეერთება,  
ფეხს ითრევს ფოთთან.

1977



\*\*\*

დრო მიდის ნელა...

ყიამყრალთა ვუძღვებ დაცინვას,  
ვერრა დამაკლო შურიანთა ღვარძლმა  
და ცოფმა,

ვცოცხლობ იმედით:

დრომ შუაგზაზე ვინც დამაცილა,  
იმ კეთილ ხალხთან,  
ისევ ისე მომიწევს ყოფნა.

1995



\*\*\*

ძიღმორეული მოხუცი მთები  
მოჩანან ნისლში –  
თავჩაქინდრული,  
დროც არის,  
საათის ათია,  
ღამე ვეებერთელა ცის ჭაღს ანთებს –  
მილიარდ სანთლიანს.

1956



\*\*\*

დიდხანს იდგება ჯგარი გულზე  
ხელდაკრეფილი,  
ვითარც ფერმკრთალი ხსოვნა –  
პოეტის,  
ვისაც საწუთრო არ წყალობდა და  
გულგრილობდა,  
მერე აღდგება,  
და ვით ქრისტე იტყვის “მოვედი!”  
და გაგიღიმებთ ცადატყორცნილ –  
მარმარილოდან.

1982



\*\*\*

იელისის ხვატით გათანგულები,  
არაგვისპირას ყრია ლოდები  
(როგორც ანისში, “დამნაშავენი”),  
დეეებს ზღაპრიდან გამოქცეულებს  
(რომლებიც ბავშვებს ისევ  
აშინებთ),  
ვითარცა ერთდროს დიდი ფშაველი,  
მეც სტრიქონებში ვამწყვდევე მაშინვე.

1971



\*\*\*

პატარა ხის მკლავზე,

კვირტი თუ ყვავილი,

ფიქრობს: -

ის მინდორი, რომელიც აცვლეს,

ტყეს როდის აიკლებს ჩიტთა ღრიანცვლით,

მთას კი,

ქორბუდა ირმების ბლავილით.

1984



\*\*\*

არ დარჩა სამეგრელოში –  
დაუსეტყვავი ხეთაგან,  
არა,  
არ გამოიდარა!  
შენ,  
ვით აპოლონს,  
ხელთა გაქვს,  
ხმალიც...  
ღირაც...  
და კითარაც,  
მაინც ვერაფერს ვერ შეველი!

1993



\*\*\*

აყვავებული ელის სამოთხე  
(დღისით მზით,  
დამით მოვარის კარავით,  
ვისაც ცხოვრების ხე, –  
დღეებით შემოეთალა,  
დმერთმა ქნას!..  
მაგრამ ახსოვს არავის,  
ვინმე იქ წასულს, ჩვენთვის რამე  
შემოეთვალა.

1989



\*\*\*

ათასეულ წელთა ოცნებები,  
დამეს თითქოს და აუსრულებია,  
მთვარე უჭირავს, ვით თამასუქი:  
რომ ვარსკვლავები –  
მოკვდავთ სულებია?! –  
კითხვაც არის და  
პასუხი.

1983



\*\*\*

ბევრი არასდროს ვყოფილვართ,  
ახლა,  
დავრჩით სულ ცოტანი,  
ჩვენ ვინც ვიყავით?  
დახედეთ  
ლოდს,  
დავით მეფის ბეჭებით,  
გელათის ბჭესთან მოტანილს.

1995



\*\*\*

სადაც არაგვი –  
მტკვარს ერთვის,  
დადგნენ ქედები ბერწები,  
მთა-მთაზე გადაიხიდა,  
მიწა –  
ჩანჩქერთა რძეს წველის  
ღრუბლების შავი  
ჯიქნიდან.

1977



\*\*\*

ქვეყნად ტირილით მოსული,  
ნაზამთრალი და  
ნამაისარი,  
სიცოცხლის ტოტზე ჩვენ სიცოცხლე ვინც  
აგვიყვავა,  
თეთრით მოსილი,  
სწორედ ის არის,  
სიბნელისაკენ ჩვენ რომ მივყავართ...

1962




\*\*\*

მსუბუქ ფიფქთა თეთრ ნაბადში,  
როცა ღამემ მიიძინა,  
შეეცვალა ზამთარს ნირი,

ნახა:

ყინვამ ფანჯრის მინას,  
როგორ მიაჭყლიტა ცხვირი.

1984



\*\*\*

დროსა და ადგილს არა აქვს აზრი,  
უამინდლა თუ ამინდია,  
ფილიპინებზე,  
საპარაში,  
თუ აქ, თიანეთს –  
ბილიკს უთვალავს... და გზებს მირიადს,  
ჰაი,  
ჰაი რომ,  
“ის” ერთი გზა აერთიანებს.

1960



\*\*\*

ღღის შესახვედრად წამოსული  
გარიურაუი,  
როდესაც იალებს,  
ატყდება მთების გერინი,  
და უზარმაზარი ცის –  
ფიალა,  
ივსება სინათლის ღვინით,  
მაღე რომ გადმოიღვრება.

1967



\*\*\*

სადღაც უსასრულობაში –  
დრო მიდის და  
მივალალებს  
და დრუბლებში ისევ მალავს:  
მზისა და მთვარის დათხრილ თვალებს  
და ცას –  
მიწის თავის ქაღას.

1992



\*\*\*

რაა ცხოვრება?!

დღისით და ღამით,

დაგვედეს არყოფნა,

ვით ყიზილბაში

და ზოგჯერ წამით ვართ ბედნიერნი,

ისიც სიზმარში.

1972



\*\*\*

ჩემი სიცოცხლის უღელს შებმული,  
აბლავლდებიან როცა ხარები,  
მაშინ ეს მიწა,  
სულ ერთი ადლი,  
მეც მეკუთვნის და თქვენს გახარებას,  
მშობლიურ მიწას –  
ნუ დამამადლით!

1995



\*\*\*

სიმეუდროვეში –

ათასფერად თავზე მოხვეულს  
დარდის ჟანგიან ღრუბლებს  
იშორებს –

ელვა

და ცას სჭრის ისე გულცივად  
და ვითა ბავშვი,

საკეისროთი

ამოჰყავს მთვარე ღამის მუცლიდან.

1958



\*\*\*

მნათობთა უშქარ თვალ-მარგალიტის  
დიდ სიმდიდრეში და სიუხვეში  
(მეფეებიც რომ მუდამ მონებდნენ),  
ზეცა ძუნწივით მაღავს  
უბეში,  
მზისა და მთვარის  
ძვირფას მონეტებს.

1978



\*\*\*

ვინც მარად ყოფნა მოისურვა  
ვიღვამეშივით,  
არ შეარჩინა მას დედის ხსენი,  
გაქრობა მისი არ დაიზარა,  
შეხე არყოფნას,  
სიცოცხლე ჩვენი,  
ხელთ რომ უპყრია ცარიელი,  
ვითა ნიუარა.

1969



\*\*\*

შენი წარსული, წუთისოფლის  
მტვრიან შარაზე,  
მიწკმუტუნებს, ვით ძაღლი  
ნაცემი,  
მაგრამ მომავლის ნუ გეფიქრება,  
დაცემა?  
ადრეც იყო დაცემა,  
ამაღლებაც ხომ ყოფილა და...  
ისევ იქნება.

1995



\*\*\*

მზის ჩასვლა მიხარია,  
დარდებს ჩავატან –  
მარად რომ მსდევდა,  
ჩვენს შორის –  
მიწის,  
პატარა ტიხარია,  
ნუ გეშინია, დედა!

1983



## წიგნები

“თბილი ქვეყნისკენ” –  
უნდათ გაფრენა  
და გზას ვერაფრით  
ველარ იგნებენ,  
დუმს შემოდგომა –  
ზამთრის ორეული,  
ბელურებივით შიშის ტოტზე სხედან  
წიგნები  
და ელანდებათ უკვდავების გზა –  
შორეული...

1994



\*\*\*

არ ისმის ქარის ცივი ჭიხვინი,  
ოქროსფერ ფაფარს –  
სივრცეში არ შლის,  
და ცის სასახლე გადაიქცა უცებ  
მიწურად,  
სადღაც ღრუბლების  
ამღვრეულ ზღვაში,  
ფრთა მოტეხილი,  
გედისყელა მთვარე მიცურავს...

1976



\*\*\*

ვიცი რომ მელი...

წვიმს...

და წვიმა არ მაძლევს

საშველს,

მოვიდე შენთან,

მაგრამ უეცრად ცამ ცისარტყელას

წარბი აზიდა,

ქარებმა წამსვე სველი ღრუბლები,

მშრალ იღლიებში ამოიხარეს,

მზეც გამობრძანდა

ბნელ დარბაზიდან,

გამიცინა და მითხრა:

– იქარე!

1961



\*\*\*

პატარა მდინარე,  
სუსტი და უნდული,  
ბორცვებს შუა  
იკლაკნება,  
დრაკონის კუდივით.

1988



\*\*\*

კვამლში გახვევენ ბუჩქებს იები,  
როცა ზამთარს შორს  
დაიგულვებენ,  
გადაუშლია მინდორ-ველის –  
მწვანე რვეული  
და ყვავილების თაიგულებით  
მოდის მარტი და...  
თან ჭირვეულობს...

1987



\*\*\*

ცეცხლის ტოტება და მოყვავილე  
და შორეული,  
ვით ასპიროზი,  
მზეც,

ცის მინდორზე არის დარგული,  
და ზღვის დასიცხულ სანაპიროზე  
დადის ივლისი,  
გონდაკარგული.

1971



\*\*\*

წელის წვეთებივით წლები იღევა,  
ჩვენ იმედების –  
სურებს ვავსებდით  
და მერე ვსვამდით სულმოუთქმელი,  
ეჰ!

სიცოცხლესთან დასაცილებლად,  
ჩვენ გვეოფნის წამის მეათასედი,  
შესახვედრად კი მოვდიოდით წელი  
უთვლელი...

1972



\*\*\*

ჩამოდის წვიმა –

სიყვარული –

ცისა და მიწის,

ვზივარ მარტოკა...

წვიმამ თურმე,

მოწყენა იცის.

1959



## პატარა ტალღები

პატარა ტალღები ნაპირთან თამაშობდნენ,  
ქვიშის ოქროს მარცვლებს  
ასველებდნენ,  
ხან აშრობდნენ...

ტანთ ეცვათ ქაფის ახალუხები,  
მაგრამ უეცრად მოვარდა გრიგალი  
და მიამსხვრევინა  
ნაპირზე მუხლები,

.....  
საწყალი,

პატარა ტალღები.

1979



## თელები

ღვთის სადიდებლად ცად მიიწვევენ,  
ჯერ საწუთროსგან გაუხედნავი,  
ტანწერწეტა,  
ნორჩი თელები,  
თუმცა ფოთლები კარგად ხედავენ:  
დედამიწაზე ყველაფერი  
რომ ითელება...

1989



\*\*\*

წარმავალია ქვეყნად ყოველი,  
ვიღაცამ ჩუმად ჩაიხურჩულა,  
დუმდნენ ლოდები...  
ცას წვაგდა ცხელი მზის აბედი  
და ცეცხლს აფრქვევდა,  
ვითა ურჩხული  
და... მისთვის თვალის გასწორება  
ვეღარ გაბედა.

1986



\*\*\*

ჩამოსკდა ზვაეი...

ნისლი ნამქერთა,

ქარმა მთებიდან

უცებ აყარა,

ვღგავარ მწვერვალზე.

აი,

აქედან,

რა პატარა მოჩანს სამყარო.

1992



## ცეცხლი და კვამლი

ცეცხლი და კვამლი –

ერთი დედის შვილებია,  
მამით სხვა და სხვა,

ცეცხლი კეთილია,

კვამლი ბოროტი,

ამიტომ კეთილი,

ბოროტ ძმას სიცილით,

თავიდან იცილებს.

1989



\*\*\*

დარაჯად ედგა ღრუბლების დევები,  
რომლებიც ელვის ეშვს  
აჩენდნენ,  
და მაინც...

როცა ესმა მზის ძახილი,  
მთვარე გადმოეშვა ცის კოშკიდან,  
პერანგის ამარა,  
ვით ამირანის შესახვედრად ყამარი.

1967



\*\*\*

დედამიწაზე არ იცის არავინ  
    (მათ მოთქმას ზოგჯერ  
        მეც ვუერთდები,  
თუმც სიევარულით თავს მევლებიან),  
რაზე ტირიან ღამ-ღამობით  
        ცაში ღმერთები,  
ვარსკვლავები რომ მათი ცრემლებია.

1978



\*\*\*

ვით მკვდრის დარჩენილი სული,  
დასტრიალებს დამჭკნარ  
ვარდებს  
და პეპელა თავსაც ირთობს,  
საფლავის ცივ ქვას ხელს ვადებ  
და ვუტოვებ –  
ჩემს წილ სითბოს.

1979



\*\*\*

სძინავთ მთებს და მთვარის შუქი,  
ეფინება,  
ვით არილი,  
და უძილოს უკვირს უძოს,  
რომ დიდუბის საყდარივით –  
ჯამთა რბევას,  
ვით გაუძლო.

1971



\*\*\*

სანაპიროზე მდგარმა ხეებმა,  
ნეტავი ერთურთს  
რა დაუშავეს,  
რომ ერთმანეთი ასე დახოცეს,  
ზღვას კი დატალღულ თმებს, კვლავ  
უმშრალებს,  
ქარი, ნისლის –  
თეთრ პირსახოცით.

1967



პრწანისი – 1795

“...მის მიერ გაუღებულ თორმეტ ათას  
მოწინააღმდეგეში მხოლოდ ორი აღმოჩნდა  
ზურგში დაჭრილი”.

პლუტარქე.

ბრძოლის ცეცხლში მზის ჩასვლამდე  
(მტერთა ჩვენთა  
დამრაგველი),

მაჩაბლის ხმა ისმოდა აკორდივით,  
ველზე იწვა იქ –

სამასი არაგველი,  
სამასივე გულში იყო დაკოდილი.

1963



\*\*\*

აქ დღეა,  
აღბათ,  
იქ – საღამოა...  
და ჭია-ღუას რომ მიუსევენ,  
“პახმელიდან” ვეღარ გამოვა,  
ჩვენთან არყოფნით  
ნაბახუსევი,  
ნოდარ ნარსიას სული – კეთილი.

1986



## ორი ციხე

მტერთა რისხვად მდგარ,  
ქონგურებით მღრინავ ციხეებს,  
აღარ ჩამოდით სისხლი და წვიმა,  
დუმს ნაციხარზე ორი გორაკი,  
ხოლო კოლხეთის ბრძოლით დაღლილ  
წარსულში გმინავს,  
ციხე გოჯის და ციხე შორაპნის.

1959



\*\*\*

არ გაუხდია,  
ტანზე ისევ გლოვა აცვია  
და გარდასულზე დარდით  
შემოსილს,  
ლომის შავ ტორებს ადებს სიბერე,  
მაგრამ დღეს თუ ხვალ –  
ჩემი პონტო,  
ვით ორფეოსი,  
ძველი კოლხეთის გმირულ წარსულს  
ამოიმღერებს.

1959



**ქარი და ნიაჭი**

დუღუნში მტკვრისა და ღიახვის,  
მოელის  
ვარდით გაშლილი  
თბილისთან –  
კოჯორი,  
და გორთან – ტყვიავი,  
მაგრამ არ ჩანს არც დედა,  
არც შვილი –  
ქარი და ნიაჭი.

1979



\*\*\*

აღარ დელაუდა მინდურად ჯეჯილი,  
ნახორშაკალი  
და ნაზათარი,  
მშიერ ჯიქივით ლაშდარენილი,  
უცებ გადმოდგა მთიდან –  
ზამთარი  
და ალბათ მალე ჩამოივარებს.

1988



\*\*\*

მღერიან ჭრიჭინობლები,  
მთებს გამარჯვების ფერი აქვთ,  
დიდგორის ველზე ჭრიჭინებს  
სამღერი აქვთ და...

მღერიან...

მღერიან ჭრიჭინობლები  
ტაშისკარსა და  
ღრმა ღელეს,  
მაგრამ ბუნების მესობტეთ,  
კრწანისში რაღა ამღერებთ?!!

1975



\*\*\*

ფეხდაფეხ დაბედვეს სიკვდილი,  
არ გვტოვებს და თავს  
გვევლება...  
სიცოცხლე, როცა უფსკრულთან,  
მოულოდნელად ხელსა გვკრავს,  
სიკვდილი მოგვეშველება.

1979



## სიმაართლე

შორით მომავალს როცა იხილავს,  
თვით ხელმწიფეც კი  
კარებს ჩარაზავს,  
სიმაართლეს არ ცნობს “შვილი უძღები”,  
და სძულს კაცის მკვლელს,  
ქურდს და ავაზაკს,  
მაშვრალს კი უყვარს,  
რადგან იგი წინ მიუძღვება...

1978



რიონი და მტკვარი

არა,

არ უჩანს ბოლო...

ვით რიონი და მტკვარი –

მოდის და მოდის შური,

სხვაა “კახეთის მთვარე”,

და...

სხვაა “ოდიშური”.

1993



\*\*\*

გზა არის შორი...

თეთრჩალმიანი

ღრუბლები ცაზე დამსობილან,

როგორც მოგვები,

ბრწყინავს და ელავს ნახევარი მთვარის

მეჩეთი,

შენ მზის და დაფნის მიგაქვს რტოები,

და მისვალ ზევით...

ვიღაც კივის:

წამით შეჩერდი!

თორემ კეთილი მეგობრებიც მიგატოვებენ.

1994



\*\*\*

დადის სიმწვანე და ზამთარს ამუნჯებს,  
სითეთრე –  
მაღალ მთებს  
ყელს უცობს,  
და გალობს ცას ლურჯი  
ფერი და...  
კეკლუცობს...

1962



## უჯარმაში

ვახტანგის ხმა მესმა ქონგურზე  
უჯარმის  
და სპარსის –  
წივილი ისრისა.  
ნისლის ფთილა კი, ვითარცა გუჯარი,  
ამოეფარა უეცრად სათოფურს,  
თითქოს და ციხემ  
თვალი მოისრისა.

1976



\*\*\*

საუკუნეთა ნაპირს ასკდება  
და ჩემს ბობოქარ მკერდზე  
ხმიანებს,  
ზვირთთა კი არა,  
ფიქრთა ზვინები.  
ქარს მინდობილი ვარ ოკეანე,  
თვალეში დედამიწა –  
ჩამშტერებია დაჟინებით.

1979



## გზა

ზამთარ-ზაფხულ ათოვს,  
აწვიმს,  
არც კაცი,  
არც ალაპია,  
რადგან კარებს არვინ უღებს,  
მიდის გზა...  
და ტალახიან  
შუკებს ტოვებს,  
როგორც წუღებს.

1987



\*\*\*

შორს,

გადაკარგულ მთვარის იქედან,

როცა კვილი ესმათ

არყოფნის,

მაშინ ქარებმა უცებ აიშვეს,

ზღვამ გამოისხა –

ზვირთთა ნაყოფი,

ცა –

ვარსკვლავებმა მოაზარნიშეს.

1972



## ვერ შეელია

მოგონებები ხორგის,  
გურფულის,  
თავს დამტრიალებს და არ მეცლება,  
ჩემო გულნარა! –  
გული შეელია,  
ცივი ქვეყნისკენ თუმც გაფრინდნენ  
წლები –  
მერცხლებად,  
მაგრამ ეს გული,  
შენს სიყვარულს ვერ შეელია.

1995



**შური**

შურმა,

ცხოვრების აურზაურში

და პოეტების რია-რიაში,

გალაკტიონი –

კლდიდან დაუშვა,

შუბლზე ტყვია ჰკრა –

პაულო იაშვილს.

1998



\*\*\*

(ერმიტაჟში)

ჩარჩოებში ბობოქრობდნენ –  
მანეს ზღვები,  
მონეს ტბები,  
ციო სხივებად გამოჰქროდნენ –  
ვარსკვლავების მონეტები  
მთვარის ვერცხლით,  
მზის ოქროთი.

1981



\*\*\*

მოკვდავთა ამდენ ლოცვა-ვედრებით,  
ყოვლისმხილველი  
თვალი აქვს სველი,  
სწირავს უფალი – მწყემსი კეთილი,  
ღამით სავსეა ცის ტაძარი –  
ვარსკვლავთა მრევლით,  
დღისით მღვდელმთავარს –  
წმინდა მზეს აქვს  
გამოკეტილი.

1967



\*\*\*

მოკვდავებს აღარ გვაწუხებს წამით,  
რომ ვსვამთ სიცოცხლეს  
და აღარ ვავსებთ,  
ახლა დღეებს რომ ხურდასავით ვფანტავთ  
და ვხარჯავთ...

ეჭვი,

მარჯა!

კიდევ ცოტაც და...

დაედებათ მათ ოქროს ფასი.

1965



\*\*\*

დეკემბრის ყინვით გაფიხსულ ბაღში,  
არ წყდება ქარის დავა  
და შფოთი,  
არ ჩანს მშველელი,  
ტოტზე შერხენილ პაწია ფოთოლს,  
აღვა,  
ვერა და ვედარ ელევა.

1987



## მ ა შ ა ს ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ღ ა მ ე

არ ეძინა ფშავის არაგვს,  
    არც ჩარგლულას,  
    არც ხმელ წიფელს,  
სავსე იყო ტყე გზირებით,  
ხოლო ზეცის ოქროს ტახტზე –  
    მოვარე იჯდა, ვით ხელმწიფე,  
გვერდით ესხდნენ ვარსკვლავები,  
როგორც ნაზირ-ვეზირები.

1961



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ .....5  
 \*\*\* თოვლქვეშ მიინარი აიების.....25  
 \*\*\* დაღონებული .....26  
 გრიგალები.....27  
 შიო მღვიმე.....28  
 \*\*\* სუსხიანმა დღეებმა.....29  
 ჩემი გული ვარსკვლავს .....30  
 \*\*\* არაფერია მარადიული!.....31  
 ლადო გუდიაშვილს.....32  
 \*\*\* ქართულ სიტყვის საღი .....33  
 \*\*\* ჯუკუს ღობესთან.....34  
 \*\*\* მაღალ მთებიდან .....35  
 ბაბილონის გოდოლი.....36  
 \*\*\* მესმა ცხვირი კვლავ .....37  
 \*\*\* მომდევს დღეების.....38  
 \*\*\* შავ ღამეებს გარდასულთა .....39  
 \*\*\* არაგვის პირას.....40  
 \*\*\* მოულოდნელად თუკი.....41  
 \*\*\* ვით ადრე.....42  
 \*\*\* მკერდზე მიკრული დედა .....43

*** რა საჭიროა დიდრო .....	44
*** გაიელვებს ღრუბელი.....	45
*** ცის გახსნას ველი სულის.....	46
*** გაბრაზდება და უფალი.....	47
ხილვა: სამოთხე.....	48
*** არ ჩანს ღრუბელი ელვის.....	49
*** სული ზეცისკენ მიიღტვის .....	50
*** ჰყვავის სინათლის ნაპირი.....	51
*** რითმის ჯინჯილით.....	52
*** შხამით ნაღესი ყველა .....	53
*** ქართველმა კაცმა უნდა.....	54
*** ჭიშკართან აღარ .....	55
მეტეორები .....	56
*** კბილდაკრეჭილს.....	57
ცააშხა .....	58
უჯარმაში.....	59
ლიახვი .....	60
*** სიყვარულით .....	61
*** ეფინება ნისლად.....	62
*** ნაცემი ქარის.....	63
ყულევთან.....	64
*** ვითარც რომში.....	65
*** ღმერთმა ბევრჯერ.....	66

*** აგვისტოს სიცხით .....	67
*** თავს აფარებენ.....	68
*** მამული ისევ მოელის.....	69
*** შვილმკვდარ .....	70
*** მიჰქრის უამი .....	71
*** სამშობლოსათვის .....	72
*** ცას.....	73
ქართლის ღამე.....	74
*** მომეხსნა ღამის სიმძიმე.....	75
მე ვარ ენქიდუ.....	76
*** გავყურებ სივრცეს .....	77
ეგვიპტეში.....	78
სერაფიტა .....	79
*** ლურჯი ზღვები და .....	80
*** “სამძღვარს” იქით.....	81
*** ზეცა.....	82
*** ზღვის ლაქვარდოვან .....	83
*** ბზის ტოტებივით ზამთარ.....	84
*** სიყვარულისთვის.....	85
უხმო ძახილი .....	86
*** შორიდან გადმოვლენილი .....	87
კავკასიაში ბინდდება .....	88
*** მზის მცხუნვარებით.....	89

*** ვარსკვლავთა ქვიშით .....	90
*** ვით მომლოცველი .....	91
*** მწვანე ნისლებში .....	92
*** ღელვა და აურზაურში .....	93
ორთა დიალოგი .....	94
*** ზღვიდან წამოსულ .....	95
*** ხობის პირას .....	96
*** ქოფაკივით მზის ენა .....	97
სიარხე .....	98
*** უცებ ხვლიკის კუდის .....	99
სააკაძის ნანადირევი .....	100
*** სადღაც ღრუბლებთან .....	101
“დიდ თურქობა” .....	102
*** მთები .....	103
*** მწუხრის მოსურნე და .....	104
*** აქ .....	105
*** ზესკნელი სკაა .....	106
*** რადგან მეოცის ვერ .....	107
*** ყოვლის წამლევავ .....	108
*** ირგვლივ სუფევს წკვარამი .....	109
ნაცარქექია .....	110
*** ცაში .....	111
*** მამლის ყივილით და .....	112

*** გადმოსულთ მღელვარ.....	113
ფშავსა თუ შუაფხოს .....	114
*** ვართ მილიარდი.....	115
*** თვითონ ჩვენგან .....	116
*** ზღვა ქარიშხალს .....	117
*** მთვარის ცივ და დიდ.....	118
*** შორიდან.....	119
*** მარადუამს შურის .....	120
*** ბოლოს მაინც იქ მიდიან.....	121
*** დღე მზის ღუზას .....	122
*** ვითარც უვლია.....	123
*** გრიგალ ქვეყნის.....	124
*** როცა .....	125
ახალციხეში.....	126
ბელორუსიაში.....	127
*** ქარის ზღვის კარად.....	128
*** გვაჩენს და მადლით .....	129
*** ცხოვრების.....	130
*** ღამით რომ რეკავს .....	131
*** უსასრულობას მიჭედელ .....	132
*** დაძრწიან ყურსაღარები .....	133
*** ფერს კარგავს ყველა.....	134
*** ისე.....	135

*** ყოფნა – არ ყოფნით.....	136
*** ლოდინით დაღლილ.....	137
ქვიშხეთი – 81.....	138
*** რომ არ შეუხსნან.....	139
*** ვაჟამ იცოცხლა ხუთჯერ.....	140
ქართული დაისები.....	141
*** აღარ ყოფნის ჰაერი და.....	142
მერეხი.....	143
*** გაჩენის დღიდან ფეხზე.....	144
*** დასავლეთით მიმავალი.....	145
გრანელი.....	146
*** სანამ ჩვენი მტერ.....	147
*** ცა.....	148
*** ზღვის კუთხეში.....	149
შემოდგომა, მერცხლები.....	150
*** ვითომ არა?.....	151
ჭვავის ყანა.....	152
*** ხელში ფარით და.....	153
*** წუთისოფლის მტვრიან.....	154
*** ხობის წყლის პირას.....	155
მესხეთში.....	156
*** მთვარის კოშკიდან.....	157
იაზონი და აფსირტე.....	158

*** რადგანაც კვნიტი.....	159
*** დიდი ხნის მერე.....	160
*** ოცდახუთ დეკემბერს.....	161
ციცინათელა.....	162
*** მაძიებელს მდინარეთა.....	163
ვაჯაერებთ ეშმაკს.....	164
*** ყველგან სიცოცხლის.....	165
*** მაშრიყსა და მადრიბს.....	166
*** სწორუპოვარი.....	167
ნატანებში.....	168
*** შეხე?.....	169
*** ჩემი სამშობლოს მაღალ.....	170
*** სიმყუდროვიდან.....	171
*** დასაბამიდან ცად.....	172
*** საქართველო დავითივით.....	173
*** ხობის წყლის ანკარა.....	174
*** ოცნების მიღმა.....	175
*** ტყის უდაბნოში მდგარმა.....	176
*** წუთისოფელი ასე ყოფილა.....	177
*** თვალეზზე.....	178
*** მზემ ფრთა დაკეცა.....	179
*** სამყაროს წამში ათასჯერ.....	180
*** ვით სასპერების.....	181

*** დრო მიდის ნელა.....	182
*** ძიღმორეული მოხუცი.....	183
*** დიდხანს იდგება ჯვარი.....	184
*** ივლისის ხვატით.....	185
*** პატარა ხის მკლავზე.....	186
*** არ დარჩა სამეგრელოში.....	187
*** აყვავებული ელის სამოთხე.....	188
*** ათასეულ წელთა ოცნებები.....	189
*** ბევრი არადროს.....	190
*** სადაც არაგვი.....	191
*** ქვეყნად ტირილით.....	192
*** მსუბუქ ფიფქთა თეთრ.....	193
*** დროსა და ადგილს არა.....	194
*** დღის შესახვედრად.....	195
*** სადღაც უსასრულობაში.....	196
*** რაა ცხოვრება?!.....	197
*** ჩემი სიცოცხლის უღელს.....	198
*** სიმყუდროვეში.....	199
*** მნათობთა უშქარ.....	200
*** ვინც მარად ყოფნა.....	201
*** შენი წარსული.....	202
*** მზის ჩასვლა მიხარია.....	203
წიგნები.....	204

*** არ ისმის ქარის ცივი .....	205
*** ვიცი რომ მელი .....	206
*** პატარა მდინარე .....	207
*** კვამლში გახვევენ ბუჩქებს .....	208
*** ცეცხლის ტოტება და .....	209
*** წყლის წვეთებივით წლები .....	210
*** ჩამოდის წვიმა .....	211
პატარა ტალღები .....	212
თელეები .....	213
*** - წარმავალია ქვეყნად .....	214
*** ჩამოსკდა ზვავი .....	215
ცეცხლი და კვამლი .....	216
*** დარაჯად ედგა .....	217
*** დედამიწაზე არ იცის .....	218
*** ვით მკვდრის დარჩენილი .....	219
*** სძინავთ მთებს და .....	220
*** სანაპიროზე მდგარმა .....	221
კრწანისი – 1795 .....	222
*** აქ დღეა .....	223
ორი ციხე .....	224
*** არ გაუხდია .....	225
ქარი და ნიავი .....	226
*** აღარ ღელავდა მინდვრად .....	227

*** მღერიან ჭრიჭინობლები.....	228
*** ფეხდაფეხ დაგვდევს.....	229
სიმართლე.....	230
რიონი და მტკვარი.....	231
*** გზა არის შორი.....	232
*** დადის სიმწვანე და.....	233
უჯარმაში.....	234
*** საუკუნეთა ნაპირს ასკდება.....	235
გზა.....	236
*** შორს.....	237
ვერ შეეღია.....	238
შური.....	239
*** ჩარჩოებში ბობოქრობდნენ.....	240
*** მოკვდავთა ამდენ.....	241
*** მოკვდავებს აღარ.....	242
*** ღეკემბრის ყინვით.....	243
ვაჟას სიკვდილის ღამე.....	244



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 40

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 40

გამომცემლობის  
რედაქტორი – ბეჟან ნაღარაია  
მხატვარი – სპარტაკ ცინცაძე  
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ღუმბაძე  
კორექტორი – ევა ხუნწარია  
კომპიუტერული  
უზრუნველყოფა – ნანა ღა დათო მანდაშვილები

გამომცემელი – ვაჟა ღოღბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიბოკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com